ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ლევან გაჩეჩილაძე, მამუკა ხაზარაძე თუ კახა კალაძე





გვ.3

ვინ იქნება „ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი

ოთხშაბათი, 9 იანვარი, 2017 №6 (7241) ფასი: 50 თეთრი

# ნიკა გვარამიას ცემის გამო რატი გაჩეჩილაძე დააკავეს



გვ.7



**ნიკა გვარამია:** „ჩხუბი თუ გინდოდა, სიბნელეში, უკნიდან, კაპიშონგადაფარებული, დამხმარეებთან ერთად კი ნუ მომეპარებოდი კეფაში რაღაცის ჩასარტყმელად და მერე სამარცხვინოდ გაიპარებოდი, პირისპირ მაინც მოსულიყავი“

**რატი გაჩეჩილაძე:** „ეს იყო ჩემი რეაქცია იმ შეურაცხყოფაზე, რომელიც მე და ჩემმა ოჯახმა განვიცადეთ წლების განმავლობაში გვარამიას და არა მხოლოდ მისგან“

**ლევან გაჩეჩილაძე:** „რატომ უნდა დაიჭირონ, ხელის დარტყმისთვის?“



## ნიკა მელია ახალ საპარლამენტო ფრაქციას ქმნის

გვ.2



გიორგი ტუღუში პარლამენტიდან მიდის



გვ.3

## ნინო კალანდაძე: „გიგა ბოკერიას ფრთა ძალიან უღირსად მოიქცა“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## „ნაციონალების დაშლის სათავეში ივანიშვილი დგას“



გვ.4

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ერთკაციანი პარტიების დრო უნდა დამთავრდეს“

## ვახტანგ ძაბირაძე: „უგულავას ლიდერობისთვის პატიმრობა პლუსი უფროა, ვიდრე მინუსი“

გვ.4





## რატომ დადიან კახეთის მაჟორიტარები უცხოეთში

გვ.5

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნიკა მელია ახალ საპარლამენტო ფრაქციას ქმნის

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალურ მოძრაობაში დაპირისპირება გრძელდება. დღეს, 9 იანვარს, ბოკერია-ბაქრაძის დაჯგუფება ფრაქციის თავმჯდომარეობიდან ნიკა მელიას გადაყენების საკითხს დააყენებს.

მელიას ჩამოლაბორანტება მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც მან მიხეილ სააკაშვილის მხარე დაიკავა.

ინფორმაცია მელიას გადაყენების შესახებ პირველმა ადვოკატმა ზაზა ბიბილაშვილმა გაავრცელა. აღსანიშნავია, რომ პარლამენტში მოხვედრის შანსი მასაც ჰქონდა. პარტია მას სიის პირველ ათეულში სვამდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ადვოკატმა სიაზე უარი თქვა.

ზაზა ბიბილაშვილის შეფასებით, ნიკა მელიას გადაყენება უღირსი ქმედებაა. იურისტის თქმით, ამის გაკეთებას ის ხალხი აპირებს, რომელმაც ამომრჩევლის ნდობა დაკარგა.

– აღნიშნული ჯგუფი წერილობით, 5 პირის ხელმოწერით, იბარებს ჩვენი საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე ნიკა მელიას, სადაც დიდი ალბათობით იგეგმება მისი გადაყენება. ეს არის მცდელობა, შეინარჩუნონ სკამები მაშინ, როცა მათ დაკარგეს პარტიის ნდობა. უხერხულია, როცა ეს ჯგუფი ფარისევლურად გვესაუბრება დემოკრატიულ ღირებულებებზე, – ამბობს ჟურნალისტებთან საუბარში ბიბილაშვილი.

მისი თქმით, ამ ჯგუფის თავგასულობა ძალიან მალე დასრულდება.



– 20 იანვარს მრავალათასიან ყრილობაზე ნაციონალური მოძრაობა დაადასტურებს, რომ არა ასეთი, არამედ სახალხო-დემოკრატიული მოძრაობაა, სადაც ყველა საკითხი საჯაროობისა და ამომრჩევლის ნების პატივისცემის რეჟიმში წყდება, – აღნიშნა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა.

ინფორმაცია მელიას შესაძლო გადაყენების შესახებ დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა ოფიციალურად დაადასტურა.

როგორც ნადირაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, მელიას ფრაქციის თავმჯდომარეობიდან გადაყენების საკითხზე ჩატარდება კენჭისყრა. მისივე განმარტებით, ფრაქციის წევრები გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით მიიღებენ.

ნადირაშვილის განმარტებით, თუ ფრაქცია მელიას გადააყენებს, მისი შემცვლელის არჩევა მაშინვე მოხდება.

– ნიკა მელია არის ადამიანი, რომელიც ხშირად იცვლის პოზიციებს. მან ვერ გაუძლო ვერცერთ კრიტიკულ ვითარებას. მას მერე, რაც ის მიეკედლა მეორე გუნდს, ვითარება და ურთი-



ერთობები უკიდურესად დაეძაბა ამ ორ ჯგუფს და დაძაბულობამ პიკს მიაღწია. შესაბამისად, ალბათ, არავისთვის უნდა იყოს გასაკვირი, რომ ადამიანების უმრავლესობა ამ ფრაქციაში ფიქრობდეს, რომ ასეთი ლიდერი არ სჭირდებათ. გადაწყვეტილებას ფრაქციის წევრები მიიღებენ კენჭისყრითა და ხმათა უმრავლესობით, – განაცხადა ნადირაშვილმა.



დეპუტატს არ დაუკონკრეტებია, თუ ვინ გახდება მელიას გადარჩევის შემდეგ ფრაქციის თავმჯდომარე. გავრცელებული ინფორმაციით, ეს თანამდებობა, შესაძლოა, მან ან გიგი წერეთელმა დაიკავონ.

ნიკა მელიას გადაყენების აუცილებლობაზე გიგი წერეთელი დაბეჯითებით არ საუბრობს, თუმცა მიაჩნია, რომ არსებული ვითარება დასარეგულირებელია. დეპუტატის აზრით, არ შეიძლება, ფრაქციის თავმჯდომარე ერთს ამბობდეს, წევრები კი – მეორეს.

– არის ბევრი საკითხი, რაც ფრაქციის შეკრებაზე სამსჯელოა. საკმაოდ რთული ვითარებაა. ძალიან სამწუხარო სიტუაციაა ბრალდებების ფონზე. ეს ვითარება უნდა გაირკვეს. ამიტომ, ბუნებრივია, გაიმართება ფრაქციის სხდომა და იქნება საუბარი, მომავალში რა იქნება, ვინ რას აპირებს.

თუ ფრაქციის წევრები არ ეთანხმებიან ფრაქციის თავმჯდომარეს, ბუნებრივია, ეს საკითხიც იქნება მსჯელობის საგანი, – ამბობს ფრაქციის სხდომის წინ წერეთელი.

მას ნიკა მელიას გადაყენების ამბავი დიდად არ ხიბლავს და იმედოვნებს, რომ რაღაც მოგვარდება. მოუგვარებლობის შემთხვევაში ის გამოსავალს მელიას გადაყენებაში ხედავს.



– ერთმნიშვნელოვნად კარგი არ არის ის, რაც ხდება. თუკი რაღაცაზე მოხდება ჩამოყალიბება, რომ ეს პროცესი ნაკლებად მტკივნეული იყოს, კარგი გამოსავალი იქნება. ფრაქციის წევრების დიდი ნაწილი სხვა მხარეს არის, მელია მართავს ბრიფინგებს, მეორე მხარეც მართავს ბრიფინგებს, ამიტომ ეს არ არის ნორმალური ვითარება. წესითა და რიგით, თუკი ფრაქციის თავმჯდომარე ფრაქციის წევრების მოსაზრებას არ ეთანხმება, ან ფრაქციის თავმჯდომარე გადადგება, ან მას ფრაქცია შეცვლის. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში ეს საკითხი დადგება, – განაცხადა ინტერპრესნიუსთან საუბარში წერეთელმა.

◆ ◆ ◆

ბოკერია-ბაქრაძის დაჯგუფების მიერ უარყოფილი ნიკა მელია ახალ საპარლამენტო ფრაქციას ჩამოაყალიბებს.

პარტიასთან დაახლოებულმა პირმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ მელია ამ ფრაქციის შექმნას პარტიის ყრილობის შემდეგ აპირებდა.

– ახირებულებმა მოვლენები დააჩქარეს და ამ ფრაქციის შექმნაზე საუბარი ყრილობამდე დაიწყება. ფრაქციაში იქნება ის ხალხი, რომლებმაც ამომრჩეველს არ უღალატეს, – ამბობს „ახალ



## გიორგი ტუღუში პარლამენტიდან მიდის

თაობასთან“ საუბარში პარტიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ამ ეტაპზე თავისი ვინაობის დასახელებისაგან თავს იკავებს.

მისი ინფორმაციით, ახალი ფრაქციის შემადგენლობაში, ნიკა მელიას გარდა, სალომე სამადაშვილი, თინა ბოკუჩავა, რომან გოცირიძე, აზერ სულეიმანოვი, რამაზ ნიკოლაიშვილი და კობა ნაყოფია იქნებიან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნიკოლაიშვილი და ნაყოფია პარტიულ სიაში სიის ფორმირების შემდეგ ჩასვეს. პარტიაში ამაზეც დიდი ალიაქოთი ატყდა.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, რომან გოცირიძემ მელიას ფრაქციაში გადასვლის გადაწყვეტილება ელენე ხოშტარიას გამო მიიღო.

– ამის შესახებ მთელი პარტია საუბრობს. ფრაქციის ერთ-ერთ დახურულ სხდომაზე ისეთი სიტყვებით ლანძღა ელენე ხოშტარიამ მიხეილ სააკაშვილი, რომ რომან გოცირიძე გადარეული დარჩა. ამის შემდეგ მან იმ გუნდში დარჩენა შეუძლებლად მიიჩნია, – ამბობს ნაცმოძრაობის წარმომადგენელი.

წამოსვლას აპირებს გიორგი ტუღუშიც, რომელიც თავიდან ძალიან აქტიური დეპუტატი იყო, შემდეგ კი გაჩერდა. მისი დამუხრუჭების მიზეზად პარტიაში არსებული განხეთქილება სახელდება.

გავრცელებული ინფორმაციით, ის, შესაძლოა, დამოუკიდებელ დეპუტატად მოგვევლინოს, ერთ-ერთი ვერსიით კი საერთოდ პარლამენტიდან აპირებს წასვლას. როგორც „ახალ თაობას“ ნაცმოძრაობაში უთხრეს, ნიკა მელია და მისი თანამოაზრეები მის გადარწმუნებას ცდილობენ.

ამბავი ტუღუშის შესაძლო წასვლაზე ბოკერიას დაჯგუფების წევრებმაც გაიგეს. პარლამენტიდან ტუღუშის წასვლის შემთხვევაში მისი ადგილმონაცვლე პარტიული სიის მიხედვით ნინო კალანდაძე ხდება, რომელიც გამოკვეთილი მიშისტია. მიშისტები კი ახირებულებს (ასე უწოდებს გაოპონენტებულ ნაციონალებს სააკაშვილი) არ აწყობთ.

სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ მიმართა სერგო რატიანმა ცესკოს თხოვნით, პარტიული სიიდან ამოიღოს ნინო კალანდაძე.

ოფიციალურ განცხადებაში პარტიის აღმასრულებელი მდივანი ამბობს, რომ პარტიული სიიდან იმ ხალხის ამოღება უნდა მოხდეს, რომლებიც პარტიული ყრილობის სამზადისით არიან დაკავებული.

ნინო კალანდაძის გარდა, პარტიული სიიდან დათო კირკიტაძის, ნუგზარ წიკლაურის, ეკა ხერხეულიძის, პეტრე ცისკარიშვილის, ლევან ბეჟაშვილისა და ირაკლი ნადირაძის ამოღებასაც ითხოვენ.

ეს ფაქტი მიხეილ სააკაშვილმაც დაგმო. ის სერგო რატიანის გადაწყვეტილებას დიდ შეურაცხყოფად მიიჩნევს.

– ეს პირდაპირი შეურაცხყოფაა ჩვენი მრავალრიცხოვანი ამომრჩევლის და ძალიან ჰგავს ივანიშვილის სცენარის განხორციელებას. ივანიშვილის მთავარი მიზანია ჩემი ჩამოშორება ქართული პოლიტიკიდან. სამწუხაროა, რომ ეს კეთდება ჩვენი ყოფილი თანამოაზრეების მცირე ჯგუფის ხელით, დაჩქარებულად 20 იანვრის ყრილობის წინ, რომელიც დაადასტურებს პარტიის ერთიანობას და იმას, რომ ამ ერთ მუჭა ადამიანებს არ აქვთ მხარდაჭერა.

მე არც მიზნების დამთხვევა მგონია შემთხვევითი და არც ამორალური და ძალიან უსამართლო განაცხადის შეტანის დღის შერჩევა. მას შემდეგ, რაც ვერ მოხერხდა ჩემი პარტიიდან დისტანცირება, ხოლო პარტიის ხელში ჩაგდების გეგმა ჩავარდა, საქმე გვაქვს პარტიისთვის ზიანის მიყენების აშკარა მცდელობასთან. ნაციონალური მოძრაობა გამოვა ამ ყველაფრიდან გაძლიერებული და ერთიანი, როგორც არასდროს, – წერს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე მიხეილ სააკაშვილი.

აქტივისტების სიიდან ამოღების გადაწყვეტილებას პარლამენტს მიღმა დარჩენილი ნაციონალებიც უარყოფითად აფასებენ.

„თავისუფალი ზონის“ ერთ-ერთი ლიდერი ფარნაოზ ჭკადუა მიიჩნევს, რომ რატიანს უფლება არ აქვს, კირკიტაძეზე ხმა ამოიღოს. ამის დასადასტურებლად ჭკადუა სტატისტიკურ მონაცემებსაც აქვეყნებს.

– პარლამენტში ზის პარტიული სიით სერგო რატიანი, მაჟორიტარულზე აიღო 6.058 ხმა. პარლამენტში ზის პარტიული სიით ზურა ჭიაბერაშვილი, მაჟორიტარულზე აიღო 5.039 ხმა, პარლამენტში ზის პარტიული სიით ელენე ხოშტარია, მაჟორიტარულზე აიღო 5.480 ხმა. პარლამენტში ზის პარტიული სიით კაკო ბობოხიძე, მაჟორიტარულზე აიღო 6.090 ხმა. სამაგიეროდ, პარლამენტში არ არის დავით კირკიტაძე, რომელმაც მაჟორიტარულზე აიღო 8.153 ხმა, – ამბობს იმედგაცრუებული ჭკადუა.

მისი თქმით, რასაც ახლა სააკაშვილთან დაპირისპირებულები კადრულობენ, უნამუსობაა.

– დღევანდელ ახირებულებს წლების წინ მიშა ხელს რომ ართმევდა, ერთი თვე იმ ხელს არ იბანდნენ. დღეს გახდნენ კაცუნები ვითომ კაცები, – ამბობს „თავისუფალი ზონის“ ერთ-ერთი ლიდერი.

◆ ◆ ◆

ამ არეულობის პარალელურად, პარტია 20 იანვრის ყრილობისთვის ემზადება. პარტიის რეგიონული მდივნის ნუგზარ წიკლაურის ინფორმაციით, საბოტაჟის მცდელობა ჩავარდა.



– რეგიონებში, სადაც გამიჯნულებმა საბოტაჟი მოაწყვეს და ხელი არ მოაწერეს დელეგატთა სიებს, 8 იანვრიდან დაიწყო კონფერენციები. რამდენიმე დღეში მზად იქნება ყრილობის მონაწილე დელეგატთა სრული სია.

ამ დროისთვის უკვე დარეგისტრირებულია 6.000-მდე დელეგატი, რაც ყრილობისთვის საჭირო კვორუმზე გაცილებით მეტია, – აცხადებს ნუგზარ წიკლაური.

ყრილობის წინ ციხიდან გიგი უგულავას გამოშვებაც არ არის შემთხვევითი ამბავი. გავრცელებული ინფორმაციით, ახირებულებმა, შესაძლოა, ის წარადგინონ პარტიის თავმჯდომარის პოსტზე. სააკაშვილის მომხრეები მას ხელისუფლებასთან გარიგებაში ადანაშაულებენ.

ციხიდან გამოსული უგულავა უკვე შეხვდა პარტიის წევრებს და განაცხადა, რომ ყრილობამდე აუცილებლად შეხვდება მიხეილ სააკაშვილს, ოღონდ არ იცის, როდის გაიმართება ეს შეხვედრა.

– მე როგორც გავარკვიე, მიშა უკრაინაში არ არის. მე მართლა მაქვს გულწრფელად სურვილი, შევხვდე და, თუ ერთი პროცენტი არსებობს იმისა, რომ პარტიამ ეს კრიზისი გაიაროს, მაშინ ჩვენ ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. მე ამ აზრზე ვარ და, დარწმუნებული ვარ, ჩემი კოლეგების უდიდესი ნაწილი მაინც ყველა მხრიდან ამ აზრზეა.

ჩემთვის აბსოლუტურად უდავოა, რომ ეს პროცესი სწრაფად უნდა დასრულდეს, რადგან ამ ქვეყნის პრობლემა არ არის ნაციონალური მოძრაობის შიდა დაპირისპირება. ამ ქვეყანას აქვს ფუნდამენტური პრობლემა და ეს არის არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი, – განაცხადა უგულავამ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ზალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნინო კალანდაძე: „გიგა ბოკერიას ფრთა ძალიან ულირსად მოიქცა“

## „ნამდვილი ბოლშევიკური წმენდა ჩაატარეს“

ნონა ცაბაძე

ნაციონალურ მოძრაობაში დაპირისპირება სულ უფრო ღრმავდება. გასული კვირის ბოლოს სერგო რატიანმა ცესკოს მიმართა მოთხოვნით, ამოიღონ ნაციონალების საპარლამენტო სიიდან 6 ადამიანი, მათ შორის ნინო კალანდაძე.

რა პროცესები მიმდინარეობს პარტიაში, რას ერჩიან ნინო კალანდაძეს, ჩამოვა თუ არა ყრილობისთვის მიხეილ სააკაშვილი თბილისში, გიგი უგულავას ციხიდან გამოშვება იყო თუ არა პოლიტიკური გარიგების შედეგი? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ნაციონალური მოძრაობის წევრი ნინო კალანდაძე პასუხობს.

***– ნინო, რა ხდება ნაციონალურ მოძრაობაში? 20 იანვრის ყრილობის გამო დიდი ვნებათაღელვაა.***

– საქმე გვაქვს იმასთან, რაც უკვე მრავალი კვირის განმავლობაში ხორციელდება, ანუ რეალურად აქ საუბარია იმაზე, რომ ჩანიშნულია 20 იანვარს შვიდიათასდელეგატიანი ყრილობა, რომელმაც ხელახლა უნდა განსაზღვროს პარტიის მომავალი გეგმები, დასახოს სტრატეგია და აირჩიოს მმართველი ახალი რგოლი, ახალი პოლიტსაბჭო, შესაბამისად – პარტიის ახალი თანამდებობრივი წარმომადგენლები.

***– დღეს რა მოცემულობაა?***

– მოცემულობაა ისეთი, რომ პოლიტსაბჭოს ჰყავს მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც ალმასრულებელი ბერკეტები ჯერ კიდევ ხელში უჭირავს. ისინი ყველა გზითა და მეთოდით ებღაუჭებიან ამ ძალაუფლებას, ვინაიდან იციან, რომ შვიდიათასკაციანი ყრილობა, დიდი ალბათობით, მათ ხელახლა აღარ აირჩევს, იმის გამო, რომ მათ მთელი რიგი შეცდომები დაუშვეს. მათ შორის საარჩევნო პროცესით უკმაყოფილოა პარტია. მათი პოლიტიკური შეფასებებით არის უკმაყოფილო.

***– როდის დაიძრა ეს პროცესი?***

– პროცესი დაძრა იმ გარემოებამ, როდესაც გიგი უგულავას წერილი გამოქვეყნდა იმის თაობაზე, რომ პარტიას ახალი თავმჯდომარე უნდა ჩაუდგეს სათავეში და ეს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო დავით ბაქრაძე.

***– ამით რის თქმა უნდოდა ამ ჯგუფს?***

– რეალურად, მცდელობას ჰქონდა ადგილი, რომ პარტიაში პრინციპული ცვლილებები განხორციელებულიყო, მათ შორის ელექტორალური თვალსაზრისით, რაც პარტიამ არ გაიზიარა და ამას მოჰყვა წინააღმდეგობა. წინააღმდეგობამ განაპირობა ის, რომ ამ ჯგუფმა ცადა, ყრილობა თავის თავზე მოერგო და ორიათასკაციანი ყრილობა ჩაეტარებინა, სადაც დელეგატების დაკომპლექტების წესს თავადვე დაადგენდა იმ ფორმით, რომ თვითონ ყოფილიყვნენ იმთავითვე უმრავლესობაში, რათა კვლავ პარტიის ხელისუფლებაში დარჩენილიყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც, რეალურად, პარტიის მხარდაჭერა აღარ აქვთ.

აი, ეს არის პრობლემის არსი. მას შემდეგ, რაც პოლიტსაბჭომ მიიღო მათთვის არასასურველი გადაწყვეტილება, მათ გააცნობიერეს, რომ პერსპექტივა აღარ მიეცემათ, იყვნენ უმრავლესობაში და ჰქონდეთ პარტიული უმრავლესობა. იმისთვის, რომ ეს ძალაუფლება შეინარჩუნონ, მათ ყველაფერი ცადეს. ცადეს ყრილობის საბოტაჟირება, კომისიის არალეგიტიმურად გამოცხადება. ისიც კი დააანონსეს, რომ საკუთარ ყრილობას უჩივლებენ და მას არალეგიტიმურად გამოაცხადებენ.

***– საპარლამენტო სიიდან 6 კაცის ამოღების მოთხოვნაზე რას იტყოდით?***

– არ ვიცი, ამას კომიკური ვუწოდო თუ ტრაგიკული. ძალიან ულირს მეთოდს მიმართეს. ვგულისხმობ საპარლამენტო სიიდან იმ ადამიანების ამოღებას, რომლებმაც გაბედეს და განსხვავებული მოსაზრება დააფიქსირეს. რეალურად სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარეს იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც მათ წინააღმდეგობა გაუწიეს, რომლებიც არ იყვნენ მათ აზრზე და რომლებმაც გაიზიარეს ამომრჩევლის პოზიცია და რომლებმაც გაიზიარეს პარტიის აბსოლუტური უმრავლესობის პოზიცია, რომლებიც მათ მონურად არ დაემორჩილნენ.



**ყველაფერი მოხდა მიზანმიმართულად. რეალური სამიზნე ვიყავი მე. რეალურად ჩემზე იყო გაჩერებული სია. მათ მიიღეს სრულიად სამარცხვინო გადაწყვეტილება, რომელიც არის ამომრჩევლის ნების უგულებელყოფა, რადგან ამომრჩეველმა ამ სიას ამ ფორმით უყარა კენჭი! ეს არის ძალიან სამარცხვინო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობს ანგარიშსწორებასა და ბოლშევიკურ წმენდას საკუთარი თანაპარტიელების მიმართ**

***– ამ ყველაფერს აკეთებს გიგა ბოკერიას ფრთა და ამით თქვენს დასჯას ცდილობს?***

– ეს არის ნამდვილი სადამსჯელო ოპერაცია! ნამდვილი ბოლშევიკური წმენდა ჩაატარეს. სერგო რატიანმა, რომელიც პარტიაში არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ფორმალური ბერკეტი სულ რაღაც ორი კვირა, კიდევ ხელში აქვს, ჩუმად, პარტიზანულად შეიტანა ივანიშვილის ცესკოში განცხადება, რომელმაც მყისიერად გაატარა რეგისტრაციაში. შემდგომი განმარტებები, რომლებიც ჩვენ მოვისმინეთ, თუ რის საფუძველზე მიიღო თითქოს სერგო რატიანმა ეს გადაწყვეტილება, იყო სრულიად არათანმიმდევრული, ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვი, რომ მათი ვერაგული ზრახვები ემსახურებოდა სულ სხვა მიზნებს.

***– რა მიზნებს? ეს ყრილობის ჩაშლასაც ხომ არ ისახავს მიზნად?***

– საბოლოო ჯამში, ჩვენ ამ მეთოდების არ გვეშინია, იმიტომ რომ პარტიაში მხარდაჭერა აქვს სწორედ იმ პრინციპულ მოსაზრებას, რომლებზეც დგას ნაციონალური მოძრაობა და 20 იანვარს ჩატარდება ეს ყრილობა, რა წინააღმდეგობაც უნდა გაუწიოს მას თავად პარტიის შიგნით მყოფმა პატარა ჯგუფმა.

***– ყრილობა მაინც ჩატარდება? ის ფრთა აცხადებს, რომ ყრილობა ვერ იქნება ლეგიტიმური.***

– ყრილობა აუცილებლად ჩატარდება! სერგო რატიანმა გააჟღერა ამ ჯგუფის მოსაზრება. ესეც ემსახურება იმ მიზანს, რომ პროცედურული ხრიკებით ჩვენ უარი გვათქმევინონ ყრილობაზე, უფრო სწორად, დააშინონ დელეგატები, რომ მათ არ მიიღონ მონაწილეობა ყრილობაში, რომელიც, შესაძლოა, მომავალში სასამართლომ ცნოს არალეგიტიმურად. ჩვენ ამის არ გვეშინია, ეს არის შანტაჟის მეთოდი, რომლითაც ჩვენ ვერ დაგვიყოლიებენ.

***– თქვენი საპარლამენტო სიიდან ამოღება ამ ბრძოლის ნაწილია? შეეშინდათ თქვენი პარლამენტში მოხვედრის თუ ასე დაგსაჯეს ურჩობისთვის?***

– ორივე! ერთი, რომ მათ არ ისურვეს პარლამენტში საპირისპირო აზრის მქონე ხალხი და ასეთი ფრაქციის გაძლიერება ჩემი სახით და მეორე, ეს იყო პირადი ანგარიშსწორება იმის გამო, რომ მე არ დავემორჩილე მათ პოზიციას, რომ მე პოლიტსაბჭოზე ხმა მივეცი სხვა გადაწყვეტილებას, რომ მე მოწინავე რიგებში ვარ იმ გუნდში, რომელიც ყრილობის ორგანიზებაშია ჩართული. ეს იყო ძალიან მიზანმიმართული სადამსჯელო ოპერაცია.

***– იცოდით ამის თაობაზე?***

– ეს გადაწყვეტილება არ იყო ჩემთან შეთანხმებული. აზრიც კი არ უკითხავს არცერთს ამ ჯგუფიდან იმის თაობაზე, თუ მე რას ვფიქრობ!

განმარტებები, რომლებიც მათ გააკეთეს, იყო სრულიად აბსურდული და ურთიერთგამომრიცხავი. თითქოს მე ვიყავი ბოიკოტის მომხრე, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, იმიტომ, რომ მე არ ვიყავი ბოიკოტის მომხრე.

***– პარლამენტში შესვლას ემხრობოდით?***

– მე ვიყავი პარლამენტში შესვლის მომხრე, უბრალოდ, მეორე ტურის ბოიკოტის მომხრე ვიყავი. რაც შეეხება შემდგომ განმარტებას, რომ თითქოს ამ 6– კაციანი ჯგუფის დასჯა უნდოდათ, რომელსაც ჩიხში შეჰყავს პარტია, ესეც არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ამ 6 კაცის მიღმა კიდევ რამდენიმე ადამიანი იქნა ამოღებული სიიდან. ეს კომისია შექმნა 30-მა კაცმა და აქედან დასაჯეს მხოლოდ 6!

ამიტომ ეს ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები მხოლოდ აღრმავებს ეჭვს, რომ ეს მოხდა მიზანმიმართულად. რეალური სამიზნე ვიყავი მე. რეალურად ჩემზე იყო გაჩერებული სია. მათ მიიღეს სრულიად სამარცხვინო გადაწყვეტილება, რომელიც არის ამომრჩევლის ნების უგულებელყოფა, რადგან ამომრჩეველმა ამ სიას ამ ფორმით უყარა კენჭი! ეს არის ძალიან სამარცხვინო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობს ანგარიშსწორებასა და ბოლშევიკურ წმენდას საკუთარი თანაპარტიელების მიმართ!

***– მიხეილ სააკაშვილი სურვილს გამოთქვამს, რომ 20 იანვრის ყრილობას დაესწროს. რამდენად მიეცემა მას ამის საშუალება და თუ გაბედავს თბილისში ჩამოსვლას?***

– სააკაშვილს იმ წუთშივე მიეცემა თბილისში ჩამოსვლის საშუალება, როდესაც ამას ბიძინა ივანიშვილი დაუშვებს. მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტიკური დევნილი და, როგორც გიგი უგულავას შემთხვევაში ვიხილეთ, სწორედ ივანიშვილი წყვეტს, ვინ იჯდეს ციხეში, რამდენ ხანს და ვინ გამოვიდეს. სწორედ მის ხელშია, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ სააკაშვილს შეუწყდეს პოლიტიკური დევნა. კარგი იქნება, თუ ივანიშვილი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს.

***– გიგი უგულავას გათავისუფლების შესახებ რას იტყვით? თქვენ საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ, რომ გიგი უგულავას წერილს მოჰყვა ეს ძვრები პარტიაში. ის გიგა ბოკერიას ფრთის გასაძლიერებლად გამოუშვეს?***

– მე შეთქმულებებსა და სპეკულაციებში ვერ შევალ. თავისთავად, ეს ეჭვები ამომრჩეველში ჩნდება, იმიტომ, რომ სწორედ იმ დროს გამოვიდა ციხიდან, როდესაც ყრილობა უნდა ჩატარდეს, როდესაც ყრილობის საბოტაჟირება ამ ჯგუფმა ვერ მოახერხა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა გზით, მაგრამ მე ამ დაშვებით არ ამოვალ და არც სპეკულაციებში შევალ. არ მინდა, ვინმე რაიმე ფორმით გარიგებაში დავადანაშაულო. მივესალმები გიგი უგულავას გამოშვებას, იმიტომ, რომ გიგი უგულავა იყო პოლიტპატიმარი. გიგი უგულავა იყო ბიძინა ივანიშვილის პირადი მძევალი!

***– გიგი უგულავამ დანაშაული რომ აღიარა?***

– აღიარა თუ არ აღიარა, ეს არ ცვლის მოცემულობას, რომ ის იყო პოლიტიკური პატიმარი! იგი დაკავებული იყო პოლიტიკური ნიშნით, სწორედ იმ მოტივით, რომ ნაციონალური მოძრაობის დაშლის პროცესში ამას დიდი როლი ეთამაშა.

***– ანუ თქვენ ემიჯნებით იმ მოსაზრებას, რომ ივანიშვილსა და უგულავას შორის პოლიტიკური გარიგება მოხდა, რომ ის მიზანმიმართულად გაათავისუფლეს?***

– მე ამის დადასტურება არ შემიძლია, თუმცა ეჭვები თავისთავად არის, რადგან სასამართლო პოლიტიზებულია და, პოლიტპატიმრებს ციხიდან როცა უშვებენ, ამას მოტივაცია უნდა ჰქონდეს!

***– უგულავა მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას გეგმავს. შეიძლება, ამ შეხვედრის შემდეგ რაიმე შეიცვალოს?***

– გიგის პოზიციები თუ შეიცვლება, არ ვიცი. მიხეილ სააკაშვილის პოზიციები არ შეიცვლება!

# ლევან გაჩეჩილაძე, მამუკა ხაზარაძე თუ კახა კალაძე

შორენა მარსაგიშვილი

მიმდინარე წლის შემოდგომაზე თვითმმართველობის არჩევნები ტარდება. „ქართულ ოცნებაში“ ამ არჩევნებისთვის სამზადისი უკვე დაწყებულია. როგორც პარტიის კულუარებში ამბობენ, თბილისის მერობის კანდიდატის შესარჩევად კასტინგი ჯერ კიდევ გასულ წელს გამოცხადდა.

შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულს ბიძინა ივანიშვილი გამოავლენს. 2013 წელს თბილისის მერობის კანდიდატი სწორედ მან დაასახელა და ეს მანამდე გააკეთა, სანამ პრემიერის პოსტს დატოვებდა.

მოქმედ მერ დავით ნარმანიას დიდი სურვილი აქვს, რომ კიდევ ერთხელ იყაროს კენჭი, მაგრამ „ოცნებაში“ მისი კანდიდატურის ხელმეორედ დასახელებას კატეგორიულად გამორიცხავენ. ნარმანია იმდენ სკანდალში გაეხვია, რომ, როგორც ამბობენ, ივანიშვილს მისი გვარის გაგონებაც არ უნდა.

ამ ეტაპზე „ოცნებაში“ ძირითადად 3 კანდიდატზე საუბრობენ. დედაქალაქის მერობის სურვილი სამივე მათგანს აქვს და სამივეს ჰყავს „კრიშა“.

დედაქალაქის მერობის სურვილი დიდი ხანია აქვს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძეს. როგორც „ახალ თაობას“ „ქართულ ოცნებაში“ უთხრეს, მერობისთვის პიარს ის ჯერ კიდევ 2015 წლიდან შეუდგა. ალბათ, ყველას ახსოვს თბილისის სტიქიის დროს მისი აქტიურობა და ფოტოები. როგორც ამბობენ, ამის გამო მან ბიძინა ივანიშვილისგან საყვედურიც მიიღო.

ახალი წლის დღეებში მან წყნეთში დევნილებს გაზის საფასური დაუფარა, ერთ-ერთ მრავალშვილიან ოჯახს კი ბინა აჩუქა. გავრცელებული ინფორმაციით, მას ბერა ივანიშვილი მფარველობს.

## ვინ იქნება „ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი



მისი აქტიური მხარდამჭერია ქვეყანაში მეორე კაცი, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, თუმცა მერობის ამბავში დიდად ვერ გამოადგება, რადგან კალაძე უფროა კობახიძის „კრიშა“, ვიდრე – პირიქით.

არც ის არის გამორიცხული, რომ კალაძე მერობაზე არ დახურდავდეს და პრეზიდენტობისთვის იბრძოლოს. საპრეზიდენტო ამბიციები მას ჯერ კიდევ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს გაუჩნდა. იმასაც ამბობდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილი თავის შემცვლელად მის დასახელებას აპირებდა.

თბილისის მერობაზე პრეტენზია თიბისი ბანკის პრეზიდენტ მამუკა ხაზარაძესაც ჰქონია. მის მფარველად საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი დავით საგანელიძე სახელდება.

დედაქალაქის მერობის სურვილი აქვს ლევან გაჩეჩილაძესაც. „ოცნებაში“ არ მალავენ, რომ მისი კანდიდატურა აქტიურად განიხილება, მის ლობისტად კი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი ითვლება.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ნაციონალების დაშლის სათავეში ივანიშვილი დგას“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ერთკაციანი პარტიების დრო უნდა დამთავრდეს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ საუბარში გასული წლის მთავარ მოვლენებსა და ნაცმოძრაობაში მიმდინარე დაშლის პროცესს აფასებს.

***– ბატონო დიმიტრი, თქვენთვის რით იყო დასამახსოვრებელი გასული წელი? რას მიაღწია ქვეყანამ ამ პერიოდში?***

– გასული წლის კულმინაცია იყო არჩევნები, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, ირჩევს თუ არა სახელმწიფო განვითარების დემოკრატიულ კურსს თუ რჩება ჭაობში და აგრძელებს კურსს რეგრესისკენ.

ყველაზე დიდი მოლოდინი, რომელიც ამ არჩევნების ჩატარებას ახლდა თან, იყო მულტიპარტიული უფლებამოსილების მატარებელი პარლამენტის წარმოდგენა საზოგადოების წინაშე, რომელსაც, თავის მხრივ, უნდა დაეკომპლექტებინა ახალი მთავრობა პროპორციული ბუნებრიობით, მაგრამ ეს არ შედგა.

ვფიქრობ, ამის მიზეზია ის, რომ შემდგომში შეუქცევადი პროცესები წარიმართა ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისით. დღესდღეობით ქვეყანა იმყოფება ეკონომიკური სტაგნაციის პერიოდში, ველარ ვითარდება. როგორც ჩანს, ქმედითი ჩარევის გარეშე ფეხზე წამოდგომას ვერ შევძლებთ.

***– ვინც ვერ გავიდა პარლამენტში, დაიშალა ან დაშლის პირასაა. რით იყო გამოწვეული პარტიების დაშლა, ხელოვნურად იყვნენ შექმნილი თუ ველარ გამოაღწიეს პოლიტიკური ლაბირინთებიდან?***

– გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა არის ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელმაც სახე შეინარჩუნა. ყველა დანარჩენი ძირითადი პარტიები, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნებში, ფაქტობრივად, დაიშალნენ. ჩვენ თავიდანვე ვიყავით მდგრადი პოლიტიკური ძალა, რომელსაც გააჩნდა პოლიტიკური საქმიანობის ტრადიცია, ჰყავდა გამორჩეული ლიდერი ქალბატონი ნინო ბურჯანაძის სახით.



სირცხვილია, ნინო ბურჯანაძე რომ არ არის პარლამენტში. ეს მიმაჩნია დიდ შეცდომად იმ ძალების მხრიდან, რომლებმაც თავიდანვე დაუკვეთეს გაყალბებული არჩევნები იმ შედეგების მიხედვით, რომელთაც აქვეყნებდნენ ენდიაი, აირაი და სხვა დაქირავებული სოციოლოგიური კვლევის წარმომადგენელი ორგანიზაციები.

ჩვენ შედეგები გავასაჩივრეთ თითქმის ყველა რაიონში, მაგრამ შედეგი არ დადგა. ქვეყანას სასამართლო ხელისუფლება არ ჰყავს. არსებული სასამართლო სისტემა როგორც იყო სააკაშვილის ჯიბეში, ისეა ახლა „ოცნების“ ჯიბეში. ასე გაგრძელება არ შეიძლება. საშუალო ფენა, პრაქტიკულად, აღარ არსებობს. ადამიანები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ გაიტანონ თავი.

***– რას მიაწერთ პარტიების დაშლას, ისინი არ იყვნენ სერიოზული, კლასიკური ტიპის პარტიები?***

– 226 პოლიტიკური პარტია და ორგანიზაციაა რეგისტრირებული დღეს ქართულ იურიდიულ სივრცეში. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ერთკაციანი პარტიაა. ქვეყანაში ერთკაციანი პარტიების დრო უნდა დამთავრდეს. უნდა მოხდეს პარტიების რეგისტრაციის გააზრებული ფორმის დამკვიდრება საკანონმდებლო დონეზე. პარტიებს უნდა ინახავდნენ პარტიის წევრები თავიანთი საწევრო შენატანებით, უნდა აფუძნებდნენ ერთნაირი იდეოლოგიის მქონე ადამიანები. ეს ყველაფერი საჭიროებს პოლიტიკური ნების არსებობას, რასაც ხელისუფლებაში მყოფი ძალა ვერ ავლენს. ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდა საარჩევნო კოდექსის შემუშავების დროს. გვატყუებდნენ, რომ საარჩევნო სისტემას შეცვლიდნენ, მაგრამ ჩანს, რომ არაფერს შეცვლიან.

***– თუმცა საბოლოო პასუხი ჯერ არ ვიცით, საარჩევნო სისტემა შეიძლება შეცვალონ.***

– ახლა ამბობენ, რომ მაჟორიტარული სისტემა არ არის ცუდი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეეცდებიან, მაქსიმალურად შეინარჩუნონ არსებული სისტემა. სხვა საკითხია, ეს პოლიტიკურ ქმედებებში როგორ აისახება.

„ქართული ოცნების“ ერთადერთი ალტერნატივა გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობაა. ძალიან მალე დადგება დრო, როცა ეს არჩევანი გაკეთდება.

***– ნაცმოძრაობა ერთკაციანი პარტია არ არის, მაგრამ შიგნით პარტიაში ისეთი მაღალი დუღილის ტემპერატურაა, ან საერთოდ დაშლის, ან გაშლის ცალ-ცალკე ნაწილებად. რის ბრალია, რომ თითქოსდა ძალიან შედუღაბებული სააკაშვილის პოლიტიკური პარტია იშლება, მისი ნაწილი სააკაშვილს პირდაპირ უპირისპირდება?***

– ნაცმოძრაობის დაშლა დღეს არ დაწყებულა. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ამას სათავეში უდგას ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ეს ყველაფერი დაიწყო პავლე კუბლაშვილისა და ჯაფარიძის გამოშიგვნით ნაცმოძრაობიდან, შემდეგ – ვაშაძის, ახლა უკვე გიგა ბოკერია და მისი გუნდი. ამის უკან დგას კონკრეტული ფინანსები,



კონკრეტული პოლიტიკური ინტერესები. ნაცმოძრაობის დაშლისა და გაფანტვის ოპერაცია, ფაქტობრივად, მთავრდება. საკითხავი ის არის, ბოკერია შეძლებს პარტიის მართვის სადავეების შენარჩუნებას თუ მიხეილ სააკაშვილი.

ეს არის ძალიან საინტერესო თემა, ვინაიდან, სცენარის მიხედვით, ბოკერია უნდა დარჩენილიყო ავანსცენაზე, სააკაშვილი უნდა გამქრალიყო, მაგრამ, როგორც ბოლოდროინდელი პროცესები გვიჩვენებს, შეიძლება, პირიქით მოხდეს.

***– ბოკერია ხომ არ არის ისეთი ლიდერი, როგორიც სააკაშვილი.***

– ფაქტია, ნაცმოძრაობის აქტივისტთა დიდი ნაწილი სააკაშვილს უფრო ემხრობა, ვიდრე ბოკერიას გუნდს. პროცესი სააკაშვილის სასარგებლოდ უფრო ვითარდება, ვიდრე ბოკერიასი.

# ვახტანგ ძაბირაძე: „უგულავას ლიდერობისთვის პატიმრობა პლუსი უფროა, ვიდრე მინუსი“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე მოვლენებსა და გიგი უგულავას გათავისუფლებაზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, გიგი უგულავას ციხიდან გათავისუფლება რა დისონანსს შეიტანს ნაციონალურ მოძრაობაში განვითარებულ პროცესებში და რამდენად იყო მოსალოდნელი მისი გამოსვლა?***

– დისონანსს რომ შეიტანს, ეს აშკარაა. ჩვენ კარგად გვახსოვს მისი ღია წერილი, რომელიც ციხიდან გამოაგზავნა და პროცესებიც ასე სააშკარაოზე მას შემდეგ გამოვიდა. ჯერ კიდევ პატიმრობაში ყოფნისას აშკარა იყო, რომ ის ბოკერია-ბაქრაძის გუნდთან არის. ამ ფრთას აქვს ლიდერის პრობლემა და ეს პრობლემა ახლა მოხსნილია, რადგან უგულავა მათში გამორჩეული ლიდერი ნამდვილად არის, თანაც მას შემდეგ, რაც მის ბიოგრაფიაში პატიმრობის ელემენტიც გაჩნდა, ეს უგულავას ლიდერობისთვის პლუსი უფროა, ვიდრე მინუსი. უგულავას გამოსვლა ბოკერიას ფრთას



უდავოდ გააძლიერებს.

***– ვარაუდები იყო გამოთქმული, რომ სცენარი სწორედ ასე განვითარდებოდა, უგულავა ციხიდან გამოვიდოდა.***

– მე არ მჯერა ამ სცენარის. მაშინ გამოდის, რომ ყველა, ლამის მათ შორის ჩვენც, ვმონაწილეობდით ამ სცენარში. მე მაინც მჯერა, რომ ძალთა ის გადანაწილება, რომელიც დღეს მიმდინარეობს ნაციონალურ მოძრაობაში, მაინც მოხდებოდა ადრე თუ გვიან.

***– ნაციონალური მოძრაობის ის ნაწილი, რომელიც მიხეილ სააკაშვილს უჭერს მხარს, ვარაუდობს, რომ ბოკერია-ბაქრაძეს მოუწევს ახალი პარტიისა და საპარლამენტო ფრაქციის შექმნა. ასე დასრულდება 20 იანვრის ყრილობა?***

– ამ დაპირისპირებამ ისეთი მასშტაბური სახე მიიღო, რომ ის აუცილებლად განხეთქილებით დასრულდება. ცხადია, ჯგუფი, რომელიც უმცირესობაში იქნება და ყრილობის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს, იძულებული იქნება, პარტია დატოვოს. თუ პარტიაში დარჩებიან, მაშინ ეს მათი პოლიტიკური კარიერის დასასრული იქნება. ამ შემთხვევაში ისინი ჩაამთავრებენ ოთხწლიან ციკლს, პარლამენტის დეპუტატობას და მომავალში ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო სიაში ვერ მოხვდებიან. ნაციონალური მოძრაობა გაყოფილია და ერთიანობას ველარ შეინარჩუნებს.

***– ნიკა მელიას გადაწყვეტილებას როგორ აფასებთ?***

– ნიკა მელია იყო იმ ჯგუფში, რომელსაც წარმოადგენენ ბოკერია-ბაქრაძე, შემდეგ გადაბარგდა სააკაშვილის ჯგუფში. ნიკა მელიას პოზიციის შეცვლა ნიშნავს იმას, რომ სწორედ ის იქნება ამ ფრთის ფაქტიური ლიდერი. თუ აქამდე ეს ფრთა ლიდერის გარეშე იყო, მათ უკვე ადგილზე ეყოლებათ ლიდერი. ბოკერია-ბაქრაძის გუნდში მელია ლიდერი ვერ იქნებოდა.

***– ეს გააცნობიერა მელიამ და ამის შემდეგ მიიღო ეს გადაწყვეტილება?***

– დიახ, რა თქმა უნდა. ეს ძალიან მარტივად ასახსნელი გადაწყვეტილებაა. სანამ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, სააკაშვილი საქართველოში ვერ დაბრუნდება. ეს კარგად იცის მელიამ და ამიტომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილებაც. ნაციონალური მოძრაობის მთელი მმართველობა ახლა ნიკა მელიას ხელში გადავა, თანაც ის შეინარჩუნებს პარლამენტარის მანდატს და ექნება საშუალება, კომუნიკაცია ჰქონდეს უცხოეთთან.

დაპირისპირება გამოიწვია იმან, რომ სააკაშვილმა დაინახა, ერთპიროვნულ კონტროლს კარგავდა პარტიაზე, კარგავდა დასავლეთთან ურთიერთობების შანსს, რომელსაც კარგად გაართმევდნენ თავს, მით უფრო დეპუტატის მანდატით ბოკერია-ბაქრაძე. თუ ქუჩაში დარჩებოდნენ, რაც უნდოდა სააკაშვილს, მაშინ ისინი სააკაშვილთან იქნებოდნენ მიჯაჭვულნი. სააკაშვილმა ვერ აიტანა პარტიის ხელმძღვანელობის გაზიარება სხვასთან.

***– ბოკერია-ბაქრაძის ფრთის პოლიტიკური მომავალი რა შეიძლება იყოს?***

– ისინი იფიქრებენ ახალი პარტიის შექმნაზე, თან ეს იქნება საპარლამენტო პარტია, ალბათ, ეყოლებათ ფრაქციაც და დაფინანსების მოპოვებაზეც იფიქრებენ.

***– ხვალ რომ არჩევნები იყოს, 5%-იან ბარიერს დამოუკიდებლად გადალახავენ?***

– გააჩნია, რა სტრატეგიას აირჩევს ბოკერია და როგორი იქნება მისი სამომავლო პოლიტიკა. თუ სწორ გათვლას გააკეთებს, მას პერსპექტივა აქვს. გააჩნია, წინ ვის წამოსწევენ და უკანა ხაზზე, ისევ კულისებში ვის გადაწევენ.

***– კულისებში ვინ უნდა გადაწიონ?***

– გიგა ბოკერია, თუმცა ფაქტია, რომ ეს ფრთა თავისუფლდება ნაციონალური მოძრაობის ცუდი მემკვიდრეობისგან. ამას ემატება ისიც, რომ გიგი უგულავამ ამისთვის სასჯელიც კი მოიხადა და ციხეშიც იჯდა რამდენიმე წელი. ეს მისი პლუსი იქნება მთელი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში, თანაც, თუ ამას ერთგვარი მონანიების ელემენტებიც თან დაერთვება.

ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ელიტა თითქმის სრული შემადგენლობით ბოკერია-ბაქრაძის მხარეს არის. მეორე მხარეს თითქმის არავინ არის დარჩენილი, ამიტომ დაიწყება მისი მარგინალიზაცია. ეს ბუნებრივი პროცესია და ამის მეტი რა გვინახავს მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართულ პოლიტიკაში.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ინტერესშია, რომ ნაციონალური მოძრაობა შეინარჩუნოს სააკაშვილის დროში, რასაც ადგილობრივ არჩევნებზეც გამოიყენებენ იმავე წარმატებით, როგორც მათ ეს ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე გამოიყენეს. „ქართული ოცნება“ ეცდება, იგივე კარტი გაათამაშოს, მაგრამ, რამდენად გამოუვა, ეს პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე იქნება დამოკიდებული.

# ვლადიმირ ჟირინოვსკი: „თუ აფხაზები და ქართველები შერიგდებიან და არჩევნები ჩატარდება, უფრო მეტ ხმას ქართველები მიიღებენ“



რუსეთის რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ პროგრამა „ოსობოე მნენიეს“ ეთერში კორესპონდენტი ოქსანა პაშინა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ ვლადიმირ ჟირინოვსკის ესაუბრა.

ვლადიმირ ჟირინოვსკი შეეცადა, რადიომსმენელებისათვის სირიასა და ერაყში შექმნილი სიტუაცია უკეთ აეხსნა და ამ მიზნით აფხაზეთის მაგალითი მოიშველია.

– ერაყში ქურთები და მუსლიმანი სუნიტები არიან. იქ ხელისუფლებაში მათ თუ შეიყვან, სიტუაცია დაბალანსდება. ასე იყო სადამ ჰუსეინის დროს. აი, სირიას რაც შეეხება, იქ ძალიან ჭრელი გუნდია. სირიის ხელისუფლებაში მუსლიმანი ალავიტები დომინირებენ (ბაშარ ასადის ჩათვლით), მაგრამ ისინი ქვეყნის მასშტაბით უმცირესობაა. სირიაში უმრავლესობა მუსლიმანი სუნიტებია, რომლებიც ხელისუფლებაში არ არიან წარმოდგენილნი, ანუ თუ იქ სუნიტები ხელისუფლებას ჩაიგდებენ, ალავიტების საქმე წასულია – მათ, უბრალოდ, გაანადგურებენ.

ეს ვარიანტი რომ ჩვენი რადიომსმენელებისთვის გასაგები იყოს, საქართველოს და აფხაზეთის მაგალითს მოვიშველიებ:

ვთქვათ, აფხაზეთში ალავიტები არიან. ისინი ცოტანი არიან, საქართველო აფხაზეთზე დიდია და ქართველები აფხაზებზე ათჯერ მეტნი არიან. თუ აფხაზები და ქართველები შერიგდებიან, ამ შერიგების ჩარჩოებში თუ არჩევნები ჩატარდება, ბუნებრივია, უფრო მეტ ხმას ქართველები მიიღებენ და, შესაბამისად, მათ აფხაზეთის პარლამენტში უფრო მეტი დეპუტატი ეყოლებათ. მორჩა, აფხაზეთი დაიღუპება.

ასე მოხდება სირიაშიც: თავისუფალი არჩევნები რომ ჩატარდეს და ყველაფერი მშვიდობიანი გზით მოგვარდეს, სუნიტები ხელმძღვანელ პოსტებს ხელში ჩაიგდებენ და ალავიტები მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდებიან. ისინი ცოტანი არიან, მხოლოდ 10 პროცენტი.

ნიუსპრესი

# რატომ დადიან კახეთის მაღალჩინოსნები უცხოეთში

კახეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების უმაღლესი თანამდებობის პირებმა 2015-2016 წლებში საზღვარგარეთ 41 ვიზიტი განახორციელეს. ვიზიტების მიზანს უმეტეს შემთხვევაში საიუბილეო, კულტურულ და სხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობა, უცხო ქვეყნების ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობების „დამყარება და გაღრმავება", ასევე სემინარებსა და ტრენინგებზე დასწრება წარმოადგენდა.

ამ ვიზიტებით მიღწეულ შედეგებს ვერც ერთი მუნიციპალიტეტი ვერ ასახელებს.

2016 წლის 28 სექტემბერს საინფორმაციო ცენტრების ქსელმა კახეთის რეგიონში შემავალი ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოებსა და გამგეობებს (ქ. თელავის მერიას) მიმართა განცხადებით და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ ხელმძღვანელი თანამდებობის პირების – გამგებლი/მერის, მისი მოადგილეების, საკრებულოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის, – საზღვარგარეთ ვიზიტების შესახებ (სახელმწიფოს დასახელება, ვიზიტის მიზანი და მიღწეული შედეგები, ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა და სხვ.).

მიღებული ინფორმაციებიდან ირკვევა, რომ 2015-2016 წლებში თანამდებობის პირთა საზღვარგარეთულ ვიზიტებზე ყველაზე მეტი საბიუჯეტო თანხები ქალაქ თელავის, ახმეტისა და ყვარლის თვითმმართველობის ორგანოებმა დახარჯეს, ხოლო გურჯაანსა და საგარეჯოში ამ მიზნით ბიუჯეტიდან თანხა საერთოდ არ დახარჯულა.

რაც შეეხება კონკრეტულად თანამდებობის პირებს, ამ მხრივ ყველაზე მეტი თანხა ბიუჯეტიდან ახმეტის გამგებელმა ბექა ბაიდაურმა (7.398 ლარი), ყვარლის გამგებელმა ილია მზექალაშვილმა (4.706 ლარი) და ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ (4.374 ლარი) დახარჯეს.

ამ საკითხზე მიღებული ინფორმაცია ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

### ახმეტა

როგორც აღინიშნა, საზღვარგარეთ ვიზიტების მიხედვით, ახმეტის გამგებელი ბექა ბაიდაური კახეთის რეგიონის თვითმმართველობის თანამდებობის პირთა შორის უპირობო „ლიდერია".

2015-2016 წლებში იგი მივლინებით იმყოფებოდა აშშ-ში, ისრაელში, ავსტრიაში, პოლონეთში, ლატვიასა და ლიტვაში. გამგეობიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მარტო გამგებლის უცხოურ ვიზიტებზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა 7.398 ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ წერილში მითითებული არ არის, საინფორმაციო ცენტრების ქსელს გააჩნია უტყუარი ინფორმაცია, რომ ახმეტის გამგებელი იმავე პერიოდში იმყოფებოდა ასევე საფრანგეთში, იტალიაში, ჩეხეთსა და შვედეთში, ხოლო საახალწლოდ მეუღლესთან ერთად საბერძნეთში დაისვენა. ამ ვიზიტების კონკრეტული დანიშნულება და დაფინანსების წყაროები ჩვენთვის ცნობილი არ არის.

საზღვარგარეთულ ვოიაჟებს არც გამგებლის მოადგილეები დაკლებიან: მისი პირველი მოადგილე ვანო ნასყიდაშვილი მოლდოვასა და ლატვიაში იმყოფებოდა, ხოლო მოადგილე თამაზ ქავთარაშვილი – ლიტვაში (2-ჯერ) და ლატვიაში. ამ ვიზიტებისთვის კი ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 3.650 ლარი დაიხარჯა.

საზღვარგარეთ 2 ვიზიტი განახორციელეს საკრებულოს ხელმძღვანელებმა. საკრებულოს თავმჯდომარე გელა ჯუგაშვილი ლიტვაში (კლაიპედა) იმყოფებოდა, მისი მოადგილე თამაზ წითელაური – ლატვიაში (ლიგატნე).

აღნიშნულ ვიზიტებზე ბიუჯეტიდან სულ დაიხარჯა 2.052 ლარი.

ახმეტის გამგეობისა და საკრებულოს უმაღლესი თანამდებობის პირების საზღვარგარეთ მოგზაურობა ადგილობრივ ბიუჯეტს 13.100 ლარი დაუჯდა.

### გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტს თანამდებობის პირთა ვიზიტებზე საბიუჯეტო სახსრები არ დაუხარჯავს. კერძოდ, არც გამგებელი გივი გერგიძე და არც მისი მოადგილეები 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ საზღვარგარეთ სამსახურებრივი მივლინებით არ ყოფილან.

2015 წლის სექტემბერში პოლონეთში სემინარზე იმყოფებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ყვირალაშვილი, თუმცა მისი ვიზიტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან არ დაფინანსებულა.



### დედოფლისწყარო

2015 წელს პოლონეთსა (ქ. მალბორკი) და შვეიცარიაში (ქ. ბერნი) იმყოფებოდნენ გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი. პოლონეთში ვიზიტისას მათთან ერთად იყო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ პაპიაშვილიც.

აღნიშნულ ვიზიტებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან საერთო ჯამში 8 872 ლარი დაიხარჯა.

### თელავი (თემი)

თელავის (თემის) გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი და მისი მოადგილე ზურაბ სვიმონიშვილი მივლინებით იმყოფებოდნენ პოლონეთში (მათ შორის, ერთხელ „ღვინის ფესტივალზე"), ბელარუსში („ალუბლების ფესტივალზე") და სლოვაკეთში, რისთვისაც საერთო ჯამში ბიუჯეტიდან 7.239 ლარი დაიხარჯა.

საკრებულოდან მიღებული ინფორმაციით კი, საზღვარგარეთ ვიზიტით მხოლოდ ერთხელ იმყოფებოდა თელავის საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი, რომელმაც პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში თვითმმართველობის რეფორმის საკითხებთან დაკავშირებულ სემინარში მიიღო მონაწილეობა.

ამ ვიზიტისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 429 ლარი.

### ქალაქი თელავი

ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ და მისმა მოადგილეებმა 2015-2016 წლებში საზღვარგარეთ 9 ვიზიტი განახორციელეს – ჩინეთში (2-ჯერ), გერმანიაში (3-ჯერ), შვეიცარიაში, პოლონეთში, ლატვიასა და ბელგიაში (თითოჯერ).

ყველა ეს ვიზიტი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს საერთო ჯამში 10.743 ლარი დაუჯდა.

იმავე პერიოდში უცხოეთში 4-ჯერ იმყოფებოდა ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე (პოლონეთსა და ბელარუსში 2-2-ჯერ), რომელმაც კულტურულ ღონისძიებებსა და „ღვინის ფესტივალში" მიიღო მონაწილეობა.

მისი ვიზიტებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 5.830 ლარი.

საერთო ჯამში ქალაქ თელავის მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირთა საზღვარგარეთულ ვიზიტებში საერთო ჯამში 16.573 ლარი დაიხარჯა.

### ლაგოდეხი

ლაგოდეხის გამგეობის თანამდებობის პირები უცხოეთში ვიზიტით 4-ჯერ იმყოფებოდნენ – გამგებელი კარლო ჯამბურია გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში, გამგებლის პირველი მოადგილე გიორგი ბოკერია – პოლონეთსა და ლატვიაში, ხოლო გამგებლის მოადგილე იოსებ ტყემალაძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ სარალიძე – ლატვიაში.

საერთო ჯამში ამ ვიზიტებზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა 4.414 ლარი.

### საგარეჯო

საგარეჯოს გამგებელი გიორგი გზირიშვილი საზღვარგარეთ მხოლოდ ერთხელ იყო სამსახურებრივი მივლინებით – 2015 წლის აგვისტოში მან შვეიცარიაში ჩატარებულ ბიზნეს-ფორუმში „მოლი კახეთი" მიიღო მონაწილეობა. ვიზიტის ხარჯები მთლიანად შვეიცარიის მთავრობამ დააფინანსა. რაც შეეხება საკრებულოს თანამდებობის პირებს, 2015-2016 წლებში ისინი უცხოეთში ვიზიტით არ ყოფილან.

### სიღნაღი

სიღნაღის გამგებელი დავით ჯანიკაშვილი ვიზიტით ორჯერ იმყოფებოდა – პოლონეთში (საკრებულოს თავმჯდომარესთან გოჩა ტოკლიკიშვილთან ერთად) და შვეიცარიაში. ამ ვიზიტებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საერთო ჯამში დახარჯულია 3.619 ლარი.

### ყვარელი

ყვარლის გამგებელი ილია მზექალაშვილი ვიზიტით იმყოფებოდა პოლონეთში (ქ. ვარშავა), ბელარუსში (ქ. მინსკი), ხოლო ლიტვასა და ლატვიაში იგი თავის მოადგილეებთან – ქეთევან ზაუტაშვილთან და მალხაზ ხიზანიშვილთან ერთად იყო. გარდა ამისა, გამგებლის მოადგილე ქეთევან ზაუტაშვილი 2016 წლის მარტში ბელგიაშიც იმყოფებოდა. სულ თანამდებობის პირთა უცხოურ ვიზიტებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახარჯულია 8.737 ლარი.

ყვარლის საკრებულოს თავმჯდომარე ჯემალ შავერდაშვილი 2015 წლის აგვისტოში შვეიცარიაში იმყოფებოდა, ხოლო მისი მოადგილე ზურაბ ჩხეიძე – ლიტვასა და ლატვიაში. ამ ვიზიტებისთვის კი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 3.802 ლარი.

სულ ყვარლის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საზღვარგარეთულ ვიზიტებში ჯამში 12.539 ლარი დაიხარჯა.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# „პანკისი" დაშლის პირასაა




ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ანსამბლი „პანკისი" უკვე დატოვა ლეილა აჭიშვილმა, თითზე ჩამოსათვლელ ახალგაზრდებს კი, რომლებიც, ხეობაში არსებული პრობლემების მიუხედავად, ჯერ კიდევ ახერხებენ ღონისძიებებში მონაწილეობას, მინიმალურ მხარდაჭერაზეც უარს ეუბნებიან.

ანსამბლ „პანკისის" წევრები უკვე მეშვიდე წელია ანსამბლის წევრისა და ხელმძღვანელის ბელა მუთოშვილის საცხოვრებელ სახლში მეცადინეობენ. პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში კულტურის სახლი კი არის, მაგრამ იქ ანსამბლისთვის სამუშაო სივრცე ვერ გამოინახა, ამიტომ ბელა მუთოშვილი იძულებული გახდა, სცენა საკუთარ სახლში მოეწყო და პანკისში ჩასული სტუმრებისთვის ვაინახური კულტურა ასე გაეცნო.

ბელა მუთოშვილი ამბობს, რომ პანკისში მცხოვრები სალაფიტებისთვის რელიგიური შეხედულებების გამო სიმღერა და ცეკვა მიუღებელია. მისივე თქმით, ამის მიუხედავად, ხეობაში ჯერ კიდევ არიან ახალგაზრდები, რომლებიც კულტურულ ღონისძიებებში ჩართვისა და ანსამბლში გაწევრიანების სურვილს გამოთქვამენ. 19 წლის ბესლან კუშტანაშვილი ერთ-ერთი მათგანია. ის ანსამბლში უკვე ერთი წელია, მოხალისედ ცეკვავს.

3 წელია, ანსამბლ „პანკისის" წევრები არიან დები ლინდა და ლანა გუნაშაშვილები. ანსამბლის საქმიანობაში ორივე აქტიურადაა ჩართული, თუმცა მხოლოდ ერთი წევრის ხელფასს იღებენ, თვეში 120 ლარის ოდენობით. ლინდა და ლანა მე-12 კლასის მოსწავლეები არიან. ისინი სწავლის გაგრძელებას აპირებენ და, სავარაუდოდ, თბილისში გადასვლა მოუწევთ. ანსამბლის დატოვებას ფიქრობს კიდევ ერთი წევრი ნინო ფარეულიძეც.

სამუშაო დარბაზის გარდა, ანსამბლს საკრავებისა და სასცენო ტანსაცმლის პრობლემებიც აქვს. ანსამბლის წევრები სცენაზე ხშირად ნათხოვარი ინსტრუმენტებითა და ფეხსაცმლით გადიან.

მამული გუმაშვილი ანსამბლში დაარსების დღიდან ცეკვავს და მღერის. ის ამბობს, რომ საკონცერტო სამოსის პრობლემა სულ აქვს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა რომ არა, ანსამბლს არც გარმონი და დოლი ექნებოდა და ვერც რეპეტიციების გავლას შეძლებდნენ. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გასულ წელს პანკისის ხეობის ქალთა სათემო ორგანიზაციამ გრანტი მიიღო, რომლის დახმარებითაც საქართველოს ხუთ ქალაქში ვაინახური კულტურის ფესტივალები გაიმართა. პროექტის ფარგლებში ანსამბლ „პანკისის" წევრი ქალებისთვის ახალი საკონცერტო კაბები შეიკერა, ანსამბლს კი დოლი და გარმონი გადაეცა.

ანსამბლი „პანკისი" ახმეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაშია. ანსამბლის წლიური დაფინანსება 11.400 ლარია, საიდანაც 150 ლარს ხელმძღვანელი იღებს, დანარჩენი წევრები კი – 120 ლარს. ანსამბლს სულ 5 წევრი ჰყავს.

ახმეტის კულტურის ცენტრის დირექტორ კახა მამულაშვილის თქმით, ბესლან კუშტანაშვილს შრომით ხელშეკრულებას 2017 წელს გაუფორმებენ. კულტურის ცენტრის დირექტორი იმედოვნებს, რომ ანსამბლს ახალი საკრავებითაც დაეხმარებიან.

დღეს ანსამბლის ხელმძღვანელსა და წევრებსაც სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლებაზე ხელი მოაწერინეს.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# ნაციონალური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციაში დაპირისპირებაა




ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციაში დაპირისპირებაა.

დღეს, 9 იანვარს, ხულოში ნაციონალური მოძრაობა კონფერენციას გამართავს, სადაც 20 იანვარს დაგეგმილი ყრილობის დელეგატებს აირჩევს.

როგორც ინტერპრესნიუსს ნაციონალური მოძრაობის ხულოს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კახა დეკანაძემ განუცხადა, დაგეგმილი კონფერენციის შესახებ მისთვის არავის უცნობებია და, შესაბამისად, მასზე დასწრებას არ აპირებს.

კახა დეკანაძე განმარტავს, რომ პარტიაში არის საკითხები, რომლებიც აუცილებლად უნდა მოგვარდეს. თუ ცალკეული პრობლემები მოგვარდება, მაშინ 7.000-კაციანი ყრილობის ჩატარებას მხარს დაუჭერს.

– 7.000-კაციან ყრილობასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ არსებობს სადავო საკითხები და, თუ ისინი არ მოგვარდება, ჩვენ ვთვლით, რომ ყრილობის ჩატარება არალეგიტიმური იქნება. ხვალ ვიღაც-ვიღაცები ხულოში გეგმავენ კონფერენციის ჩატარებას ჩემთან შეთანხმების გარეშე. ეს ასე არ ხდება. მე, რა თქმა უნდა, არ დავესწრები, – აღნიშნა კახა დეკანაძემ.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ელგუჯა ბაგრატიონმა კი განმარტა, რომ მაჟორიტარი დეპუტატი და პარტიის თავმჯდომარე კანდიდატებზე ვერ თანხმდებიან, ამიტომ ხულოში კონფერენციის ჩატარება აუცილებელი გახდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ნიკა გილაური ავღანეთის ხელისუფლებას რჩევებს აძლევს

საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის საკონსულტაციო კომპანიამ ავღანეთის ხელისუფლებას რეკომენდაციები მისცა.

კომპანია ავღანეთის ხელისუფლებას 2016 წლის განმავლობაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდაში ეხმარებოდა და ამ მიმართულებით უწევდა კონსულტაციებს, რომელთა მიზანი იყო მსოფლიო ბანკის რეიტინგში დაწინაურება და ენერგოუსაფრთხოების გაზრდა.

კომპანიამ ქვეყანას აღნიშნული მიზნების მიღწევის მიზნით 168 რეკომენდაცია მისცა, რომლებიც მოიწონა როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა, ასევე უმაღლესმა ეკონომიკურმა საბჭომ.

ნიკა გილაურის განცხადებით, 2017 წლის ანგარიშში ავღანეთს 190 ქვეყანას შორის 183-ე ადგილი უჭირავს, რაც, მის მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის თქმით, მის გუნდს აქვს ამბიცია, რომ ავღანეთი ბიზნესისა და ინვესტირებისთვის მიმზიდველ ქვეყნად ჩამოაყალიბოს.

**მედიანიუსი**



# 1 იანვრის შემდეგ ტაქსით მგზავრობა გაძვირდა

2017 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, რომელიც ავტომობილებზე, საწვავსა და საავტომობილო ზეთებზე აქციზის გაზრდას გულისხმობდა, ტაქსის მომსახურების ტარიფებიც გაიზარდა.

როგორც კომპანია „ტაქსიფაიმ“ მომხმარებლებს ელექტრონულ ფოსტაზე აცნობა, 6 იანვრიდან მგზავრობის ტარიფი 10 თეთრით გაიზარდა. კერძოდ, თუ კილომეტრზე

გადაადგილება 50 თეთრი ღირდა, 6 იანვრის შემდეგ 1 კილომეტრზე მგზავრობის ღირებულება 60 თეთრი გახდა; 10 თეთრიდან 12-მდე გაიზარდა მოლოდინის რეჟიმის ღირებულებაც 1 წუთზე.

როგორც კომპანია „სითი ტაქსის“ ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ტყეშელაშვილმა ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას აღნიშნა, 1 იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებები მნიშვნელოვნად არა, მაგრამ ტაქსით მგზავრობის საფასურზეც აისახა.

მისივე ცნობით, კილომეტრზე მგზავრობის ღირებულებამ 8 თეთრით მოიმატა და შესაძლოა, კიდევ 2-4 თეთრით გაიზარდოს. რაც შეეხება ფიქსირებულ ტარიფებს, 1 იანვრიდან 50 თეთრიდან 1 ლარამდე ფარგლებში მოხდა მატება. მაგალითად, თუ გადაადგილება 3 ლარი ღირდა, დღეის მდგომარეობით 3.50 ღირს; შორ მანძილზე კი თუ მგზავრობის საფასური 7 ლარი იყო, დღეს 8 ლარი გახდა.

ტყეშელაშვილი იმასაც აცხადებს, რომ ტარიფების ზრდა ყველა კომპანიისთვის წამგებიანი იქნება და კლიენტებზეც და მძღოლებზეც უარყოფითად იმოქმედებს. ამასთან, იმის პროგნოზიც უჭირს, კიდევ შეიცვლება თუ არა ტაქსით მგზავრობის ღირებულება.

**ბიპიენი**

# გია ვოლსკი: „ლარიზაცია საკმაოდ ეფექტურად მესახება“

– ვფიქრობ, ყველაფერი გაკეთდება, რომ ამ რთული ვითარებიდან გამოვიდეთ, მათ შორის, ლარიზაციაც საკმაოდ ეფექტურად მესახება.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გია ვოლსკიმ გალარების პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა.



მისივე განმარტებით, ურთულეს მდგომარეობაშია მთელი მსოფლიო და საქართველო მხოლოდ სეგმენტია იმ დიდი პრობლემების, რასაც მსოფლიო პროცესები უჩვენებს.

გია ვოლსკი საზოგადოებას მოუწოდებს, ღრმად ჩაიხედოს მიმდინარე პროცესებში და არ აჰყვეს აჟიოტაჟს, რომელსაც „პოლიტიკურად ანგაჟირებული“ პირები ეწევიან.

– რთულია ვითარება, ამას ვაღიარებ და სწორედ, ამ რთული ვითარების გამოა დაგეგმილი ის ნაბიჯები, რაზეც მთავრობა საუბრობს და არა ჩვეულებრივი ცხოვრებიდან გამომდინარე, – აღნიშნა გია ვოლსკიმ.

2017 წლის 17 იანვრიდან გალარების ერთჯერადი პროგრამა დაიწყება.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ფიზიკური პირები, ვისაც 2015 წლის 1 იანვრამდე, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი საბანკო სესხები უცხოურ ვალუტაში ჰქონდათ აღებული, მათ კონვერტაციას ეროვნული ვალუტის სესხებად შეძლებენ. ამასთან, აღნიშნულ სესხებზე წინასწარ დაფარვის საკომისიო გაუქმდება.

გალარების აქციას ერთობლივად ახორციელებენ საქართველოს მთავრობა და ეროვნული ბანკი.

# ქურთუკების ქართული კომპანია უცხოურ საქონელს კონკურენციას გაუწევს




ქურთუკებისა და სათხილამურო აღჭურვილობის მწარმოებელი პირველი ქართული კომპანია „ატა“ კონკურენციის გაწევას იმპორტირებული პროდუქციისთვის გეგმავს.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, რამდენიმე თვის წინ დაფუძნებული კომპანია საწყის ეტაპზე 3-დან 15 წლამდე ბავშვებისთვის ქურთუკებს და წყალგაუმტარ შარვლებს აწარმოებს. ქურთუკების საცალო ფასი 39 ლარიდან იწყება.

კომპანიაში აცხადებენ, რომ საქართველოში წარმოებული ტანსაცმელი ხარისხით ევროპულს არ ჩამოუვარდება და წარმოებისას საჭირო სტანდარტები 100%-ით არის დაცული – ტანსაცმელი არის წყალგაუმტარი და, რაც მთავარია, ჯანმრთელი (ჰაერგამტარი).

მათივე განცხადებით, კომპანია „ატა“ აქტიურად თანამშრომლობს ჰიპერმარკეტ კარფურთან, სადაც პროდუქცია 2016 წლის დეკემბრიდან აქტიურად იყიდება.

კითხვაზე, მიდის თუ არა მოლაპარაკებები სხვა ქსელში პროდუქციის შეტანასთან დაკავშირებით, კომპანიაში ამბობენ, რომ ეს ამ დროისთვის შორეული პერსპექტივაა.

– ჯერჯერობით ეს ახალი ბრენდია და წარმოების ლიმიტირებული შესაძლებლობები აქვს. მას შემდეგ, რაც საწარმო გაფართოვდება, სხვა ქსელებთან მოლაპარაკებები აქტიურად დაიწყება, – აცხადებენ კომპანიაში.

სამომავლოდ დაგეგმილია ტექსტილის წარმოებაც, მიმდინარე წლის ზაფხულში დაგეგმილია საწარმოს გაფართოებაც. კომპანიამ უკვე გამოუშვა სათხილამურო აღჭურვილობა, რომელიც ბაზარზე 11 იანვრიდან გამოვა.

კომპანია „ატა“ ბაზარზე სპეცტანსაცმლის ხაზის გააქტიურებასაც გეგმავს. ასეთი ტიპის ტანსაცმელი საქართველოში ძირითადად იმპორტით შემოდის. კომპანია „ატამ“ ასეთი ტიპის შეკვეთა უკვე შეასრულა. მათ შორის იყო დაცვის პოლიცია.

**კომერსანტ.გე**

# ონლაინსესხების რამდენიმე კომპანია მიკროსაფინანსო ორგანიზაციად დარეგისტრირდა

მთავრობის მიერ ონლაინ სესხების კომპანიების რეგულირების დაანონსების შემდეგ ონლაინსესხების რამდენიმე კომპანია მიკროსაფინანსო ორგანიზაციად გადაკეთდა.

როგორც ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზეა ნათქვამი, კომპანიები მიკროსაფინანსოებად გასული წლის დეკემბრის დასაწყისიდან გადაკეთდა.

ამ დროისათვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტატუსი აქვთ „მონლაინს“, ყოფილ ონლაინსასესხო კომპანიას, რომელიც 2016 წლის 9 დეკემბერს მიკროსაფინანსოდ გადაკეთდა; „ესპრესოს“, რომელსაც 12 დეკემბერს მიენიჭა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი; 14 დეკემბერს მიკროსაფინანსო ორგანიზაციად გადაკეთდნენ „ისთ ვესთ კაპიტალი“ და „სისი ლოუნი“; 20 დეკემბრიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა რიცხვს „ემ ბი ეს“ (მასესხე) მიემატა; 2016 წლის 26 დეკემბრიდან მიკროსაფინანსოთა ჩამონათვალში არის ასევე „ინფინიტი“ (მინიკრედიტი); 28 დეკემბრიდან კი – „მოზო“.

საქართველოში, ჯამში, 80 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა რეგისტრირებული.

**ბიპიენი**

# რესურსების მოხმარების ეფექტურობა და ეკოლოგიურად სუფთა წარმოება:

## როგორ გავხადოთ ქართული საწარმოები უფრო კონკურენტუნარიანი

საწარმოო სექტორის განვითარება დღეს საქართველოს წინაშე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევათაგანია, რისი მიღწევაც სხვადასხვა მიზეზის გამო ფერხდება. ხშირად ხელშემშლელ ფაქტორებად სახელდება დაუხვეწავი თუ ბიზნესისათვის არახელსაყრელი საკანონმდებლო გარემო, წარმოების გასაუმჯობესებლად საჭირო თანხების ნაკლებად ხელმისაწვდომობა, კვალიფიციური კადრების დეფიციტი და სხვა. თუმცა, იშვიათად არის საუბარი იმაზე, რომ ქართულ საწარმოებში რესურსების, მათ შორის ნედლეულის, ენერგიისა და წყლის, მოხმარების ეფექტურობა ძალიან დაბალია, რაც ამცირებს ამ საწარმოების სიცოცხლისუნარიანობასა და კონკურენტუნარიანობას.

ასეთი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს გვაძლევს გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის „რესურსეფექტური და სუფთა წარმოების სადემონსტრაციო პროექტის“ შედეგები. აღნიშნული პროექტი ერთ-ერთი კომპონენტია ევროკავშირის პროგრამისა „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (Greening Economies in Eastern Partnership Countries _ EaP GREEN). მისი მიზანია საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებში ბუნებრივი რესურსების პროდუქტიულობის გაზრდა და გარემოსდაცვითი მაჩვენებლების გაუმჯობესება რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მეთოდების დანერგვის გზით.

„რესურსეფექტური და სუფთა წარმოების სადემონსტრაციო პროექტის“ ფარგლებში 2014-2016 წლებში დეტალურად შეფასდა 18 მცირე და საშუალო ზომის საწარმო, სადაც რესურსების არაეფექტურად მოხმარების მრავალი შემთხვევა გამოვლინდა. რესურსების არაეფექტურად მოხმარება და ამასთან დაკავშირებული დანაკარგები ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას, ამცირებს საწარმოებს მოგებას და მათ ნაკლებად კონკურენტუნარიანს ხდის. რიგ შემთხვევებში ამის მიზეზი საწარმოებში არსებული მოძველებული, გაუმართავი შენობა-ნაგებობები და მანქანა-დანადგარებია, სხვა შემთხვევებში – არაეფექტური ტექნოლოგიების გამოყენება და მეურნეობის არასათანადოდ მართვა. ხშირად საწარმოების ენერგოსისტემები არაეფექტურადაა დაპროექტებული და მოწყობილი; გაცხელებისა და გაციების სისტემებს ცუდი თბოიზოლაცია გააჩნიათ; არ ხდება ნარჩენი სითბოს გამოყენება. ბევრგან არ იყენებენ ისეთ წყალდამზოგავ ტექნოლოგიებსა და მიდგომებს, როგორებიცაა: წნევით რეცხვა, წყლის რეცირკულაცია, საფეხურებრივი რეცხვა და სხვა.

შეფასებულ საწარმოებში რესურსების არარაციონალურად მოხმარების რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს მოვიყვანთ. მსგავსი სურათი ბევრ საწარმოში შეიძლება ნახოთ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პრობლემების მოგვარება საკმაოდ მარტივია და დიდ დანახარჯებს არ მოითხოვს. ვიცავთ ანონიმურობას და ამ საწარმოებს კონკრეტულად არ მოვიხსენიებთ.

**მაგალითი 1:** ქაფბეტონის ბლოკების საწარმოს შეფასებისას გამოვლინდა, რომ ბლოკების დასამზადებლად ხელნაკეთ საჭრელ დანადგარს იყენებდნენ, რის გამოც პროდუქციის 5% წუნდებულია. ახალი, ქარხნული დანადგარის შესაძენად საწარმოს დაახლოებით 7000 ევროს ოდენობის ინვესტიცია სჭირდება. შედეგად, კომპანია მნიშვნელოვნად შეამცირებს წუნდებულ პროდუქციას და წლიურად 20000 ევროს ეკონომიას მიიღებს მასალების, ენერგიის, წყლისა და ასევე სამუშაო ძალის დაზოგვის ხარჯზე.

**მაგალითი 2:** იმავე ქაფბეტონის ბლოკის საწარმოში ბლოკის დასამზადებლად ყვითელ ქვიშას იყენებდნენ. იგი შავ ქვიშაზე უფრო ძვირია, თუმცა მოცემული პროდუქციის დასამზადებლად შეუფერებელია, რადგანაც ბლოკის დაბზარვის ალბათობასა და წუნდებულ პროდუქციის რაოდენობას ზრდის. ყვითელი ქვიშის ნაცვლად შავის გამოყენება საწარმოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წლიურად 12000 ევროს დაზოგვის საშუალებას მისცემს. ასეთი ღონისძიების გასატარებლად ინვესტიცია საჭირო არ არის.

**მაგალითი 3:** ასფალტის ქარხანა ასფალტბეტონის საწარმოებლად საჭირო ინერტულ მასალას ღია ცის ქვეშ ინახავს, რის გამოც ქვიშა-ხრეშს წვიმა ასველებს და მის გასაშრობად საწარმოს 30%-ით მეტი ენერგია ეხარჯება. ინერტული მასალის სანაყაროზე მარტივი გადახურვის მოწყობა კომპანიას დაახლოებით 3000 ევრო დაუჯდება, რაც მას წლიურად 32.000 მ$^3$ ბუნებრივ აირს, ანუ 10.000 ევროზე მეტს დააზოგვინებს. საწარმო სულ რაღაც 3-4 თვეში შესძლებს ჩადებული თანხების ამოღებას.

**მაგალითი 4:** იმავე ასფალტის ქარხანაში ცხელი ბიტუმის გადასატვირთ მილებს თბოიზოლაცია არ გააჩნია, რის გამოც ბიტუმის გაცხელებაზე მოხმარებული ენერგიის 7% იკარგება. მილების თბოიზოლაცია კომპანიას 2.000 ევრომდე დაუჯდება, რაც მას წლიურად 19.400 მ$^3$ ბუნებრივ აირს, ანუ 7.000 ევროზე მეტს დააზოგვინებს.

**მაგალითი 5:** საკონსერვო ქარხანაში ხილბოსტნეულს გამდინარე წყლით რეცხავენ, რაც წლის რესურსის არარაციონალური გამოყენებაა. საფეხურებრივი რეცხვის მეთოდის დანერგვა საწარმოში წყალმოხმარებას 20%-ით შეამცირებს და წლიურად 1.000 მ$^3$-მდე წყალს დაზოგავს. ასეთი სისტემის მოწყობა კომპანიას 1.000 ევრომდე დაუჯდება, შედეგად კი იგი წლიურად 1.700 ევრომდე თანხას დაზოგავს.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ნათელი დემონსტრაციაა ამ კონკრეტული საწარმოების სიცოცხლისუნარიანობის გაზრდისა და გაძლიერების შესაძლებლობისა. ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევებში რესურსების მოხმარების ეფექტურობის გასაზრდელად საწარმოებს დიდი კაპიტალდაბანდებები არ სჭირდებათ.

შეიძლება ითქვას, რომ „რესურსეფექტური და სუფთა წარმოების პროექტის“ ფარგლებში შეფასებულ თვრამეტივე საწარმოში გამოიკვეთა რესურსების, განსაკუთრებით კი ენერგიის დაზოგვის მნიშვნელოვანი პოტენციალი. კერძოდ, გამოვლინდა, რომ პროექტში მონაწილე საწარმოებში ენერგოეფექტურობა შეიძლება 5-50%-ით გაიზარდოს, ხოლო თვრამეტივე საწარმოში, ჯამში, წლიურად დაახლოებით 12 გვტ/სთ ელექტროენერგიისა და 275.000 მ$^3$ ბუნებრივი აირის დაზოგვაა შესაძლებელი. ამისათვის ყველა ამ საწარმოს, ჯამში, დაახლოებით 700.000 ევროს ინვესტიცია სჭირდება, რის შედეგადაც ისინი წლიურად დაახლოებით 750.000 ევროს დაზოგავენ. ინვესტიციების უკუგების პერიოდი გასატარებელ ღონისძიებაზეა დამოკიდებული და რამდენიმე თვიდან 3 წლამდე მერყეობს.

შეფასებულ საწარმოებში გამოვლინდა წყლის რესურსების დაზოგვის გარკვეული პოტენციალიც. კერძოდ, შეფასებულ თვრამეტ საწარმოში წლიურად დაახლოებით 100.000 მ$^3$ წყლის დაზოგვა შეიძლება მათთვის ეკონომიკურად ხელსაყრელი ღონისძიებებით. ამის მისაღწევად, ჯამში, დაახლოებით 37.000 ევროს ინვესტიციაა საჭირო, რაც წლიურად 54.000 ევროს დაზოგვის საშუალებას იძლევა.

„რესურსეფექტური და სუფთა წარმოების სადემონსტრაციო პროექტის“ ფარგლებში გამოვლენილი პრობლემები ეხმაურება საერთაშორისო შეფასებებს ქართულ საწარმოებში რესურსების არაეფექტურად გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგალითად, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, რომელიც საქართველოს გარემოსდაცვითი საქმიანობის შეფასებას ეხება, ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ენერგოტევადობა, ანუ პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად მოხმარებული ენერგია დასავლეთის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს 2-2.5-ჯერ აღემატება და ენერგოდამზოგი ღონისძიებებით ქვეყანაში შესაძლებელია მოხმარებული ენერგიის 20%-ის, კერძოდ კი დაახლოებით 1 ტერავტ/სთ ელექტროენერგიის, 250 მლნ მ$^3$ ბუნებრივი აირისა და 1 მლნ მ$^3$ შეშის დაზოგვა.

ხაზი გვინდა გავუსვათ გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მეორე დასკვნასაც. კერძოდ, იმას, რომ საწარმოებში ენერგიის 5%-დან 15%-მდე შეიძლება დაიზოგოს მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდების გარეშე, ან დაბალხარჯიანი ღონისძიებებით, რაც ინდუსტრიულ სექტორს 18-54 მილიონ ევროს დაუზოგავს. საშუალო და დიდხარჯიანი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში კი საწარმოო სექტორში შესაძლებელია ენერგიის მოხმარება 15-30%-ით შემცირდეს, რაც საწარმოებს 54-108 მილიონ ევროს დაუზოგავს.

ინდუსტრიულ სექტორში, კერძოდ კი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში რესურსების დაზოგვის შესაძლებლობა უდანახარჯო და დაბალხარჯიანი ღონისძიებების საშუალებით კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც. ასეთი შესაძლებლობის არსებობა განსაკუთრებით ყურადსაღებია, რადგანაც მათი რეალიზაცია საწარმოებს დამოუკიდებლად, გარე ინვესტიციების მოზიდვის გარეშეც შეუძლიათ.

რესურსების მოხმარების ეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობების გამოვლენა თავად საწარმოს პერსონალს შეუძლია, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ერთობლივად შემუშავებული რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მეთოდოლოგიის მეშვეობით. თუმცა, რიგ შემთხვევაში, მათ შესაძლოა საკონსულტაციო მომსახურებაც დასჭირდეთ.

უნდა ითქვას, რომ ქართული საწარმოების ზემოთ აღნიშნული შეფასება განახორციელეს ქართველმა ექსპერტებმა, რომელთაც პროექტის ფარგლებში გაიარეს მომზადება რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მეთოდებში. ექსპერტებმა, პროექტის ფარგლებში შეფასებული კომპანიების მხარდაჭერის მიზნით, თითოეული მათგანისათვის შეიმუშავეს რეკომენდაციები და ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც ამ საწარმოებში რესურსების მოხმარების ეფექტურობას გაზრდის და წარმოების ხარჯებს შეამცირებს. ეს ღონისძიებები ასევე უზრუნველყოფს წარმოების მავნე ზემოქმედების შემცირებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

რესურსების არაეფექტურად მოხმარებაზე მეწარმეთა ყურადღების გასამახვილებლად და მცირე და საშუალო ზომის წარმოების მხარდასაჭერად პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში, რუსთავის, კასპისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში ჩამოყალიბდა რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბები, რომლებშიც 32 ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმო გაერთიანდა. ამ საწარმოების ტექნიკურ პერსონალს ჩაუტარდა სწავლება რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მეთოდოლოგიაზე. კლუბის წევრმა კომპანიებმა პროექტის ექსპერტებთან ერთად გამოავლინეს თავიანთ საწარმოებში რესურსების დანაკარგები და შეიმუშავეს მათი აღმოფხვრის ღონისძიებები.

პროექტის ფარგლებში ცალკეული საწარმოებისათვის საინვესტიციო წინადადებები მზადდება, რაც მათ რესურსდამზოგი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვის საშუალებას მისცემს. პროექტი საწარმოებს ინვესტიციების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოძიებაშიც დაეხმარება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მეწარმეები ყურად იღებენ „რესურსეფექტური და სუფთა წარმოების სადემონსტრაციო პროექტის“ ფარგლებში გამოვლენილ პრობლემებსა და შესაძლებლობებს, რადგანაც რესურსების ეფექტურად მოხმარება მათი საწარმოების სიცოცხლისუნარიანობის საწინდარია. კერძოდ, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მეთოდების ფართო გამოყენება გაზრდის ქართული საწარმოების კონკურენტუნარიანობას და ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

**მანანა პეტაშვილი**
**UNIDO-ს რესურსეფექტური და სუფთა წარმოების სადემონსტრაციო პროექტი**

# ნიკა გვარამიას ცემის გამო რატი გაჩეჩილაძე დააკავეს

7 იანვარს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას თავს დაესხნენ.

ინციდენტი ვაკეში, კაფე „დაინინგ რუმს-ში" მოხდა.

ნიკა გვარამიას თქმით, მასზე თავდასხმა მას შემდეგ მოხდა, რაც რესტორანში შუქი ჩაქრა.

– დღეს მამა დავასაფლავე და მძიმე ხასიათზე ვარ. მეგობრებმა რესტორან „დაინინგ რუმსში" წამიყვანეს, ცოტა მდგომარეობიდან რომ გამოვეყვანეთ. შუქი ჩაქრა და უკვე წამოსასვლელად ვემზადებოდით, რომ თავს დაგვესხნენ ჩუმად, მიპარვით, სიბნელეში. მოგვაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. მე ბოლო დღეების უძილობის და სტრესის გამო, იმდენად გაბრუებული ვარ, ვერც მოვასწარი რეაგირება და საერთოდაც ვერაფერს მივხვდი, სანამ იატაკზე არ გამოვფხიზლდი. მაშინვე გამოვიძახე პატრული. ირგვლივ კამერებია. თავდამსხმელების მაგიდაზე ყველაფერს მათი ანაბეჭდები აქვს, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.



მანვე ხაზი გაუსვა, რომ ყველაფერს გააკეთებს, ეს ადამიანები იმდენად მძიმედ დაისაჯონ, რომ სხვას ამის გამეორება აღარ მოუნდეს.

– ჩემი ცხოვრების მიზნად გავიხდი, რომ ეს ადამიანები აღმოვაჩინო და იქ მივუჩინო ადგილი, სადაც ისინი იმსახურებენ, იმიტომ კი არა, რომ შური ვიძიო, არამედ იმისთვის, რომ არც მე და არც სხვა ადამიანი ამ ქვეყანაში ასეთი ინციდენტის მსხვერპლი არ გახდეს.

ასეთი ძალადობრივი ფონი ამ ქვეყანაში ბოლო რამდენიმე წელია არის და ზუსტად დაუსჯელობა ახალისებს ასეთ ფონს. მე, როგორც ერთი მოქალაქე, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს ადამიანები იმდენად მძიმედ დაისაჯონ, სხვას ამის გამეორება აღარ მოუნდეს, – აღნიშნა გვარამიამ.

## ნიკა გვარამია: „ჩხუბი თუ გინდოდა, სიბნელეში, უკნიდან, კაპიშონგადაფარებული, დამხმარეებთან ერთად კი ნუ მომეპარებოდი კეფაში რაღაცის ჩასარტყმელად და მერე სამარცხვინოდ გაიპარებოდი, პირისპირ მაინც მოსულიყავი"

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის თქმით, თავდაპირველად თავდამსხმელების სამიზნე მხოლოდ ის იყო და მის მეგობრებს ფიზიკური შეურაცხყოფა მას შემდეგ მიაყენეს, რაც ისინი ინციდენტში ჩაერივნენ.



## ლევან გაჩეჩილაძე: „რატომ უნდა დაიჭირონ, ხელის დარტყმისთვის?"

თავდასხმის დეტალებზე ისაუბრა დავით დოიაშვილის დამ, მანანა დოიაშვილმა.

მისი განცხადებით, გვარამიას 2 პირი ჩუმად დაესხა თავს.

– როცა შემოვედით, აქეთ ბიჭები ისხდნენ, სვამდნენ და ცოტა არ მესიამოვნა, ისეთი სიტუაცია იყო. 2 ბიჭი უკნიდან მოიპარა, გვეგონა, ნიკა გვარამიას მისასამძიმრებლად ვილაც ნაცნობი 2 ბიჭი მიუახლოვდა. არაფრით არ ველოდით, რომ ეს მოხდებოდა. ერთ-ერთმა გამეტებით დაუწყო ნიკას თავში რტყმა, ამ დროს დათო წამოდგა და მეორე ბიჭი დათოს გაუსწორდა, დოიაშვილს, – გაიხსენა მანანა დოიაშვილმა.

ანალოგიური განცხადება გააკეთა გვარამიას სუფრაზე მყოფმა ნიკოლოზ რაჭველმაც.

* * *

7 იანვარს, საღამოს, ნიკა გვარამია დაიკითხა. რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ გვარამიამ ჟურნალისტებთან მის მიმართ განხორციელებული თავდასხმის შესახებ კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ არ აპირებს დამნაშავესთან კომუნიკაციასა და შერიგებას.

– ის არ იყო მარტო, ეს იყო ჯგუფური თავდასხმა, იქ იყო 2 ადამიანი, ერთი მე დამესხა თავს. შსს ოპერატიულად და კეთილსინდისიერად იქცევა. ერთადერთი, რაც დარჩა, არის დამნაშავის დაკავება. დამნაშავესთან შერიგებას ან კომუნიკაციას არ ვაპირებ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

ამის შემდეგ ნიკა გვარამია სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად გაემგზავრა. მას რესპუბლიკურ საავადმყოფოში კომპლექსური გამოკვლევა ჩაუტარდა.

როგორც ექიმმა რეანიმატოლოგმა ხათუნა მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ნიკა გვარამიას ქალატვინის დახურული ტრავმა, ტვინის შერყევა და სხეულის რბილი ქსოვილის დაზიანება აღენიშნება.

რესპუბლიკური კლინიკის გადაუდებელი სამედიცინო ცენტრის ექიმების თქმით, ისინი ნიკა გვარამიას 24-საათიან ჰოსპიტალიზაციას საჭიროდ მიიჩნევდნენ, თუმცა გადაწყვეტილება თავად პაციენტს უნდა მიეღო.

* * *

ლევან გაჩეჩილაძის შვილის, რატი გაჩეჩილაძის განცხადებით, ნიკა გვარამიას ფიზიკური შეურაცხყოფა მან მიაყენა.

ამის შესახებ რატი გაჩეჩილაძემ ფეისბუქში დაწერა.



## რატი გაჩეჩილაძე: „ეს იყო ჩემი რეაქცია იმ შეურაცხყოფაზე, რომელიც მე და ჩემმა ოჯახმა განვიცადეთ წლების განმავლობაში გვარამიას და არა მხოლოდ მისგან"

– ღიად ვაცხადებ: ეს შემთხვევა, რომელიც რესტორან „დაინინგ რუმსში" მოხდა, იყო ჩემი რეაქცია იმ ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფაზე, რომელიც მე და ჩემმა ოჯახმა განვიცადეთ განვლილი წლების განმავლობაში გვარამიას და არა მხოლოდ მისგან. ჩემ გარდა იმ ინციდენტში არ მონაწილეობდა არავინ! ცხადია, მისი მამის გარდაცვალების შესახებ არ ვიცოდი და არც შეიძლება მცოდნოდა.

ადვოკატთან ერთად დღესვე მე თვითონ გამოვცხადდები შესაბამის უწყებაში, – დაწერა სოციალურ ქსელში რატი გაჩეჩილაძემ.

რატი გაჩეჩილაძის აღიარებას ფეისბუკითვე გამოეხმაურა ნიკა გვარამია.

– კუანა გრეჩიხას კუანა შთამომავალო, ჩხუბი თუ გინდოდა, სიბნელეში, უკნიდან, კაპიშონგადაფარებული, დამხმარეებთან ერთად კი ნუ მომეპარებოდი კეფაში რაღაცის ჩასარტყმელად და მერე სამარცხვინოდ გაიპარებოდი, პირისპირ მაინც მოსულიყავი.

ნაბიჭვრის სახელს ჩემი ტვინის შერყევა მირჩევნია. ეგ გამივლის, შენ კიდევ არაფერი გეშველება. ვერც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ვერ გაექცევი!..

თუ ამბობს, რომ მარტო იყო, ამით ვიღაცას კი არ აფარებს ხელს, საკუთარი თავის გამოძვრენას ცდილობს, რადგან ჯგუფური თავდასხმა უფრო მძიმე დანაშაულია. იქ იყო ორი ადამიანი, ერთი მე დამესხა თავს, ხოლო მეორე – ჩემს მეგობარს, – აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

* * *

მოგვიანებით რატი გაჩეჩილაძე დააკავეს.

– შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული რატი გაჩეჩილაძე დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 7 იანვარს თბილისში, რესტორან „დაინინგ რუმსში" ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა 1976 წელს დაბადებულ ნიკა გვარამიას, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს სისტემატურ ცემას ან სხვაგვარი ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია. აღნიშნული ქმედება ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

* * *

– ცხრა წლის განმავლობაში, ჩემი და ჩემი ოჯახის წინააღმდეგ განხორციელებული ფიზიკური და მორალური ძალადობის გამო, ყელში ამომივიდა, რომ დავინახე, ვეღარ მოვითმინე და დავარტყი, – განუცხადა ჟურნალისტებს რატი გაჩეჩილაძემ ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოსთან, საიდანაც ის ქალაქის მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს.

როგორც მისმა ადვოკატმა ლალი გელაშვილმა ქალაქის მთავარი სამმართველოდან გამოსვლისას განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი დაკითხვის შემდეგ დააკავეს, თუმცა, მისი მტკიცებით, ამის საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან რატი გაჩეჩილაძემ დანაშაული აღიარა და პოლიციაში თავისი ფეხით მივიდა.

რუსთავი 2-მა გაავრცელა რატი გაჩეჩილაძის მამის, ლევან გაჩეჩილაძის, კომენტარიც.

– რატომ უნდა დაიჭირონ, ხელის დარტყმისთვის? ემოციის კონტროლი შეუძლებელია იმ განვლილი წლების შემდეგ, რა წლებიც მე და ჩემმა მეგობრებმა და ოჯახმა გაიარა, ნიკა გვარამია ერთ-ერთი სათავე იყო ბოროტების და დღემდე არის. ეს ანგარიშსწორება არ ყოფილა, ანგარიშსწორება არის, როცა დაგეგმავ და, როცა შემთხვევით გადაეყრები, ეს სხვა რამე არის, პატარა სილას გააწნი, ეს ანგარიშსწორება არ არის, ბოდიში გვარამიამ მოუხადოს მთელ საქართველოს. უშუალოდ ნიკა გვარამიასგან ნოემბრიდან რომ დაიწყო, დღემდე მთავრდება, ცილისწამება, უხეშობა, მილიონი შეურაცხყოფა, ძალადობა ზევიდან, ბოროტად გამოყენება ტელევიზიის. პროკურორის ტყავიდან ვერ გამოვიდა, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

ამ განცხადების შემდეგ გაჩეჩილაძემ ჟურნალისტის კითხვაზე, უკავშირდებოდა თუ არა ნიკა გვარამიაზე თავდასხმა რუსთავი 2-ში მის საქმიანობას, ასე უპასუხა:

– მათ შორის რუსთავი 2-ში მოღვაწეობასაც უკავშირდება.

## ქუთაისში პოლიეთილენის პარკში გახვეული ახალშობილი იპოვეს




ქუთაისში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ქუჩაში პოლიეთილენის პარკში გახვეული ახალშობილი იპოვეს. ახალშობილი საავადმყოფოში გადაიყვანეს და მის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

როგორც ნიუპოსტს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით 173-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც რაც შვილად ან შვილობილად აყვანის წესების დარღვევას გულისხმობს.

**ნიუპოსტი**

## ზუგდიდში გუბერნატორის მოადგილის კუთვნილი სახლი და ავტომანქანა დაიწვა



ქალაქ ზუგდიდში, ლაღიძის ქუჩაზე, ხანძრის შედეგად სამეგრელოს გუბერნატორის მოადგილის კობა ქანთარიას საცხოვრებელ სახლი დაიწვა.

ამის შესახებ ინფორმაციას ნიუპოსტის ადგილობრივი კორესპონდენტი იტყობინება.

შემთხვევის შედეგად დაიწვა გუბერნატორის მოადგილის კუთვნილი ავტომანქანაც.

წინასწარი ინფორმაციით, ცეცხლი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ქანთარიას დამ ბუხარში საწვავი შეასხა.

ხანძრის დროს თავად გუბერნატორის მოადგილე თბილისში მივლინებით იმყოფებოდა, ხოლო სახლში მყოფი მისი ოჯახის წევრებიდან არავინ დაზარალებულა.

**ნიუპოსტი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

2017, 9 იანვარი, №6
კალეიდოსკოპი

# რექს ტილერსონი: „პუტინს საბავშვო ბაღის მამლაყინწის მენტალიტეტი აქვს“



აშშ-ის სახელმწიფო მდივნობის კანდიდატი რექს ტილერსონი ამერიკელ სენატორებს შეხვდა.

შეკითხვაზე, ვლადიმერ პუტინს როგორ აფასებთო, ტილერსონმა მიუგო:

– პუტინს საბავშვო ბაღის მამლაყინწის მენტალიტეტი აქვს!

ტილერსონმა განაცხადა, რომ რუსეთთან მხოლოდ ძალის პოზიციებიდან შეიძლება ლაპარაკი. მან აღნიშნა, რომ რუსი ჰაკერების მოქმედება დაუსჯელი არ დარჩება.

– რუსები ამის გამო პასუხს აგებენ, – განაცხადა მან.

# პატრიარქი ფილარეტი: „ერთიანი უკრაინული ეკლესია აუცილებლად იქნება“



უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ფილარეტმა განაცხადა, რომ უკრაინული ეკლესიების გაერთიანების პროცესი უკვე დაიწყო.

– ერთიანი უკრაინული ეკლესია აუცილებლად იქნება! – თქვა ფილარეტმა.

უკრაინის ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას მხარს მოსახლეობის 80% უჭერს, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოსი) რეიტინგი კი 12%-ია.

ეკლესიის გარდა, უკრაინელებში ნდობით არმია სარგებლობს – 74%, პარტიების უმრავლესობა კი დისკრედიტებულია. ყველაზე მეტი პოპულარობით „ბატკივშჩინა“ (15%) და პეტრო პოროშენკოს ბლოკი (14%) სარგებლობენ.

# გარდაიცვალა პორტუგალიის ექსპრეზიდენტი



92 წლის ასაკში გარდაიცვალა პორტუგალიის ყოფილი პრეზიდენტი მარიუ სუარეში.

მას დემოკრატიის მამას უწოდებდნენ. სუარეში, როგორც პოლიტიკოსი, სალაზარის დიქტატურასთან ბრძოლისას გამოიკვეთა. ამ დროს ის არაერთგზის იყო დაპატიმრებული. სალაზარის ხელისუფლებამ ის ქვეყნიდანაც გააძევა. სამშობლოში მხოლოდ დიქტატურის დამხობის შემდეგ დაბრუნდა.

სუარეშის სახელთანაა დაკავშირებული ახალი დემოკრატიული პორტუგალიის შექმნა.

# სროლა ფლორიდის აეროპორტში



ქალაქ ფორტ-ლოდერსდეილის (შტატი ფლორიდა) აეროპორტში სისხლიანი ინციდენტი მოხდა. უცნობმა პირმა შეკრებილთ ცეცხლი გაუხსნა. შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა, 10 დაიჭრა.

მსროლელი დააკავეს. ის ერაყის ომის ვეტერანი და აშშ-ის ნაციონალური გვარდიის ყოფილი ჯარისკაცი ესტებანო სანტიაგო აღმოჩნდა. მას ფსიქიკური აშლილობა ახასიათებდა. რამდენიმე თვის წინ სანტიაგომ ფსიქიატრს ნებაყოფილობით მიმართა:

– მესმის ხმები, რომლებიც მომიწოდებენ, რომ ისლამური სახელმწიფოს ჯარისკაცი გავხდე, – ამბობდა ის.

ფსიქიკური აშლილობა ჯერჯერობით ძირითად ვერსიად განიხილება, თუმცა ტერაქტიც არ არის გამორიცხული.

სანტიაგოს სიკვდილით დასჯა ემუქრება.

# ისრაელი გაეროში შესატან თანხას ამცირებს




ისრაელის ელჩმა გაეროში დენონმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა გაეროში შესატანს 6 მილიონი დოლარით შეამცირებს.

დენონმა აღნიშნა, რომ ესაა პროტესტი გაეროს რეზოლუციის გამო, რომელიც პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ებრაული დასახლებების მშენებლობას კრძალავს.

– ამ რეზოლუციას ჩვენ არ დავემორჩილებით, – თქვა დენონმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# თურქეთში რუსეთის ელჩზე თავდასხმაში ექვმიტანილები დააკავეს

თურქეთის პოლიციამ დააკავა 5 პიროვნება, რომელთაც რუსეთის ელჩზე თავდასხმაში მონაწილეობა ბრალდებათ. აქედან 4 თურქეთის შს სამინისტროს ყოფილი თანამშრომელია.



ამავე დროს, თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა ალბაირაქმა განაცხადა, რომ აშშ-მ მის უწყებაზე კიბერშეტევები განახორციელა.

– უკანასკნელ ხანს სტამბოლსა თუ სხვა ქალაქებში დენი რამდენჯერმე გამოირთო, რაც ამერიკელების კიბერშეტევების შედეგია, – ამბობს ალბაირაქი.

# ბრაზილიაში ციხის ჯანყი გრძელდება

ბრაზილიის ქალაქ ბიავისტის ციხეში პატიმრები აჯანყდნენ.

ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა. მდგომარეობას ართულებდა ის, რომ პატიმართა ნაწილმა ზედამხედველთა განია-



რაღება მოახერხა და ცეცხლსასროლ იარაღს დაეუფლა. პოლიციაც იძულებული გახდა, მათთვის ცეცხლი გაეხსნა.

შედეგად 30 პატიმარი დაიღუპა.

ბრაზილიის ციხეებში 600.000 ადამიანი იმყოფება. ეს აშშ-ის, რუსეთისა და ჩინეთის შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობაა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# გასული წლის საუკეთესო „ნიშნობის“ ბეჭდები დასახელდა



გამოცემა ეტ ონლაინმა დაასახელა 2016 წლის საუკეთესო „ნიშნობის“ ბეჭდები. მაგალითად, სიაში მოხვდა მომღერალი მერაია კერი, რომელმაც მილიარდერ ჯეიმს პეკერისგან 35-კარატიანი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მიიღო. გასული წლის ბოლოს წყვილი ერთმანეთს დაშორდა, თუმცა, გავრცელებული ხმების თანახმად, მსახიობი ბეჭდის თავისთვის დატოვებას აპირებს. მისი ფასი 10 მილიონ დოლარს შეადგენს.

მოდელმა როზი ჰანტინგტონ-უაიტლიმ პირველად ნეილ ლეინის ბეჭედი „ოქროს გლობუსის“ წითელ ხალიჩაზე წარმოაჩინა. ის მოდელს მისმა საქმრომ, მსახიობმა ჯეისონ სტეიტმა აჩუქა.

მომღერალი კაილი მინოუგი მსახიობ ჯოშუა სასომზე დაინიშნა და, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ მის მიერ ნაჩუქარ „ნიშნობის“ ბეჭედს მედიის ყურადღება არ მიეპყრო.

სიაში ასევე მოხვდნენ კემბრიჯის ჰერცოგის და პიპა მიდლტონი, რომელიც ცოლად მიჰყვება თავის ბოიფრენდ ჯეიმს მეტიუს და მოდელი მირანდა კერი, რომელიც ევან შპიგელზეა დანიშნული.

# კეიტ მოსმა ჯორჯ მაიკლის ბაღში „საიდუმლო შესასვლელის“ არსებობა გაამხილა



სუპერმოდელმა კეიტ მოსმა ისაუბრა მუსიკოს ჯორჯ მაიკლის, ჩრდილოეთ ლონდონის რაიონში თავისი მეზობლის ბაღის „საიდუმლო შესასვლელზე“. მოსის ინტერვიუ მაიკლის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე იქნა ჩაწერილი.

მოდელის თქმით, მუსიკოსი მას და მის გოგონას, 14 წლის ლილე გრეისს, ბაღში შესვლის უფლებას აძლევდა.

– მას აუზი აქვს, ამიტომ ცხელ ამინდში მე მას ვეუბნებოდი: „შეიძლება, ლილა მოვიდეს და შენს აუზში ჩახტეს?“ ის კი მპასუხობდა: „დიახ, რა თქმა უნდა, მოდით“. და ჩვენ მართლაც ბაღიდან ბაღში გადავდიოდით კედელზე კიბის დახმარებით. ასე რამდენჯერმე მოვიქეცით, – განაცხადა მოსმა.

# ჯენიფერ ლოპესი ლოს-ანჯელესში ვილას ყიდის



ერთ-ერთ სააგენტოს ცნობით, ლოს ანჯელესის გარეუბან ჰიდენ-ჰილსში მდებარე ვილა, რომელიც მსახიობსა და მომღერალ ჯენიფერ ლოპესს ეკუთვნის, კვლავ გასაყიდადაა გამოტანილი.

აღსანიშნავია, რომ ვილა უძრავი ქონების ბაზარზე მიმდინარე წლის დასაწყისში 12,5 მილიონ დოლარად დაბრუნდა. ამ საქმეში ჯენიფერ ლოპესის ინტერესებს კალიფორნიაში უძრავი ქონების გაყიდვების კომპანიის წარმომადგენლები მარკ და რორი შევინები წარმოადგენენ. კლასიკური სტილის უზარმაზარი სახლი, რომლის ფართი 1,5 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება, 12 ათასი კვადრატული მეტრის ფართობის ნაკვეთზე დგას და ის, საცხოვრებელი ნაგებობის გარდა, უამრავ დამატებით ნაგებობასაც მოიცავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.**

☎ 599-73-48-21.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# გოლდენ სტეიტმა მოგებული მატჩი წააგო

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



გოლდენ სტეიტმა თითქმის მოგებული მატჩი წააგო მემფის გრიზლისთან, ზაზა ფაჩულიამ კი სეზონის პირადსარეკორდო 30 წუთი ითამაშა.

კევინ დიურანტმა გადამწყვეტ მეოთხედში თითქმის ყველაფერი გააფუჭა და მემფისმა დასკვნითი ათწუთეულის მოგებით (32:13 ) თამაში ჯერ ოვერტაიმში გადაიყვანა, შემდეგ კი 128:119 იმარჯვა.

მესამე პერიოდის დასრულებამდე 2 წუთით ადრე გოლდენ სტეიტი 22 ქულით იგებდა და შინაურ არენაზე მოთამაშე ოკლენდელების წაგებას, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა. თუმცა ბოლო პერიოდში „მეომრებმა“ თამაში ჩააგდეს და მემფისელთა გუნდურმა თამაშმა გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ფაჩულიამ მატჩის ძირითად დროში 27 წუთი ითამაშა, რითაც 1 წუთით გადააჭარბა მის ბრუკლინთან 22 დეკემბერს ნათამაშევ დროს. დამატებით 5-წუთეულში კი ზაზა კიდევ 3 წუთით გამოჩნდა მოედანზე და მთლიანობაში მისმა სათამაშო დრომ სოლიდური სახე მიიღო. ქართველი ცენტრის ხანგრძლივი თამაში მისმა ბოლოდროინდელმა პროგრესმა და, სავარაუდოდ, მემფისის გამოკვეთილი ცენტრით თამაშმა განაპირობა. ამასთან ერთად, ცენტრ მარკ გასოლს მემფისის მწვრთნელი ხშირად ახმარდა ზეკ რენდოლფს, რომელიც მძიმე და ფარზე დაგეშილი ფორვარდია.

ზაზამ ღირსეულად ითამაშა ლიგის მოწინავე მეფარეების წინააღმდეგ და გოლდენ სტეიტი რომ 3 პერიოდი დამაჯერებლად იგებდა, მისი დამსახურებაც გახლდათ. ზაზა ფარქვეშ მნიშვნელოვნად უზღუდავდა სივრცეს გასოლსა თუ რენდოლფს, ხოლო შეტევაში მახვილგონივრულ ბლოკებს უყენებდა ოკლენდელ მსროლელებს. განსაკუთრებით კი სტეფ კარის, რომელიც ქართველის ტაქტიკური თამაშით ბოძებულ შანსს სასროლად იყენებდა და უმეტესად აგდებდა.

ზაზამ სროლათა მაღალი პროცენტულობა გამოავლინა და შესრულებული 8 ტყორცნიდან მხოლოდ 1 ააცილა. ქართველმა ცენტრმა 4-დან 3 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო და მოპოვებულ 10 ქულას 4 მოხსნა და 2 პასიც მოაყოლა. ფაჩულიამ 2 ჯარიმა მიიღო და ბურთი არ დაუკარგავს.

გოლდენ სტეიტი, ალბათ, არ წააგებდა, ძირითადი დროის ბოლო 5 წუთში საჯარიმოს ხაზიდან მეტი სიზუსტით რომ ესროლა. კლეი ტომპსონმა 2-დან ვერცერთი საჯარიმო ვერ ჩააგდო, კევინ დიურანტმა კი 4-დან მხოლოდ 1 მოათავსა მეტოქის ფარში.

მიუხედავად დამარცხებისა, გოლდენ სტეიტმა დასავლეთ კონფერენციისა და ლიგის ლიდერობა შეინარჩუნა. ოკლენდელებს 31 მოგების წილ 6 მარცხი აქვთ და მომდევნო შეხვედრა საკრამენტოში კინგსთან ელით.

ევროასპარეზზე დომინირებას აგრძელებს თორნიკე შენგელიას ბასკონია და კონტინენტის ყველაზე მძლავრ საკლუბო ტურნირის ცხრილში მაღლა მიიწევს. ვიტორიულმა კლუბმა ყაზანის უნიკსს უმასპინძლა და მეტოქე 32 ქულის სხვაობით – 102:70 გაანადგურა.

ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მოედანზე გატარებულ 19 წუთში კი 8 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. თორნიკემ 6-დან 2 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო. აღსანიშნავია, რომ შენგელიას ევროლიგაში ზედიზედ 23 საჯარიმო აქვს გამოყენებული.

16 ტურის თავზე ვიტორიელებს 11 მოგება მოუგროვდათ, შენგელიას გუნდი მორიგ საევროლიგო მატჩს სტამბოლში დარუშაფაკასთან გამართავს.

საბერძნეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში მაიკლ დიქსონის აეკმა ვიქტორ სანიკიძის არისს უმასპინძლა და 81:61 სძლია. მოგეხსენებათ, სანიკიძე ტრავმირებულია და მიმდინარე სეზონში მოედანზე ვერ ვიხილავთ, დიქსონი კი, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო და მატჩის საუკეთესო მოთამაშეც გახდა.

საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა კალათბურთელმა 29 წუთი ითამაშა და 19 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. დიქსონმა 6-დან 5 ორქულიანი, 6-დან 2 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

აეკმა 10 მოგება და 3 მარცხი მოაგროვა და სატურნირო ცხრილში მხოლოდ ოლიმპიაკოსსა (12 მოგება) და პანათინაიკოსს (11) ჩამორჩება.

თავის მხრივ, 8 გამარჯვებით მე-4 პოზიციაზეა არისი.

# ხელბურთელთა ბედი ივნისში გაირკვევა

**ლუქსემბურგი-საქართველო 35:29**

**ლუქსემბურგი:** მორეირა, ოჟე, პავლოვიჩი; კოლი (7 ბურთი), შრიოდერი (7), სხოლტენი (6), ი.ჰოფმანი (4), მიულერი (3), ვირცი (3), ბოკი (2), ბილი (1), ჯ.ჰოფმანი (1), ზეკანი (1), მარზადორი, ტომასინი, იპერტი

**საქართველო:** თევზაძე, ტორონჯაძე; ჭანტურია (7), გრიშიკაშვილი (6), ორჯონიკიძე (5),



ჩიქოვანი (5), კბილაშვილი (2), რუსტამოვი (2), წითელიშვილი (1), აბრამიშვილი (1), დიხამინჯია, სიმონია, მიქავა

ხელბურთის ეროვნულმა ნაკრებმა მეორე მატჩიც წააგო ლუქსემბურგთან, ამჯერად მეტოქის მოედანზე – 29:35. ევრო 2020-ის მთავარ შესარჩევ რაუნდში გასასვლელად ამ ჯგუფიდან 11 და 15 იანვარს იტალია და ლუქსემბურგი იბრძოლებენ, ხოლო საქართველო იმავე მიზნის მიღწევას ივნისში ჩელენჯ ტროფიდან შეეცდება.

ლუქსემბურგში ნაკრებმა უკვე აუღო ალღო მეტოქის 3-2-1 დაცვას და ჩვენმა ხაზის მოთამაშემ, შოთა გრიშიკაშვილმა 6 გოლიც გაიტანა, მაგრამ ლუქსემბურგელთა პივოტმა შრიოდერმა ერთით მეტი მოახერხა, ხოლო დაცვაში პრობლემების გამო მეტოქე თავიდანვე გავუშვით წინ, განსხვავებით პირველი მატჩისგან, როცა ბოლო მეოთხედამდე თანაბარი ბრძოლა იყო.

მასპინძლებმა 18:13 მოიგეს პირველი ტაიმი, შესვენების შემდეგ თამაშში კარგად ჩაერთო მეკარე ტორონჯაძე, რამაც საშუალება მოგვცა, ორჯერ სამამდე შეგვემცირებინა სხვაობა (23:26, 27:30), მაგრამ მეტი ველარ მოვახერხეთ.

ჩელენჯ ტროფი გაიმართება 2017 წლის ივნისში და გათამაშდება ევრო-2020-ის მთავარი შესარჩევი ეტაპის ბოლო საგზური. უკვე განვლილ შესარჩევ რაუნდში ტრავმების გამო დაგვაკლდნენ ლიდერები, რუსია და მსხვილიძე, ხოლო იტალიასთან 2 მარცხის შემდეგ აქცენტი ახალგაზრდებზე გაკეთდა, რადგანაც ჩელენჯ ტროფიზე მოთამაშეთა ასაკი 25 წლით იქნება შეზღუდული.

# ბორჯღალოსანთა კალენდარი ცნობილია

საქართველოდან პირველები ოფიციალურ შეჯიბრებაში მორაგბეები ჩაერთვებიან. ბორჯღალოსნები 11 თებერვლიდან ერთა თასის გათამაშებას დაიწყებენ, რომელიც, იმავდროულად, 2019 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა. თუმცა, ჩვენს ნაკრებს შესარჩევი დიდად არ ადარდებს, რადგან 2015 წელს მსოფლიოს თასზე ნაჩვენები შედეგით ავტომატურად მოიპოვეს მომდევნო გათამაშების საგზური.

მილტონ ჰეიგის გაწვრთნილი გუნდი პირველ მატჩს 11 თებერვალს ბრიუსელში, ბელგიის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. ბრიუსელში ბელგიელებთან ჩვენს მატჩს უელსელი ბენ ვაითჰუზი განსჯის.



მომდევნო შეხვედრას კი ბორჯღალოსნები 19 თებერვალს „რუსთავი არენაზე“ გამართავენ გერმანიის ეროვნულ გუნდთან. რუსთავში მსაჯად ბელგიელი მაქსიმ ბურლეა მივლინებული.

4 მარტს ჩვენი გუნდი ესპანეთს ეწვევა და ვალიადოლიდთან ახლოს, პატარა ქალაქ მედინა დელ კამპოში დაუპირისპირდება მეტოქეს, რომელსაც უელსელი კრეიგ ევანსი განსჯის.

12 მარტს თბილისში რუსები გვეწვევიან. თამაში ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება. მას ინგლისელი იან ტემპესტი განსჯის.

18 მარტს საქართველოს ნაკრები ბუქარესტში, რუმინეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. მატჩის არბიტრის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

**ერთა თასის სრული კალენდარი კი ასეთია:**

**11 თებერვალი:** გერმანია-რუმინეთი; ბელგია-საქართველო; ესპანეთი-რუსეთი;
**18 თებერვალი:** რუმინეთი-ესპანეთი; ბელგია-რუსეთი;
**19 თებერვალი:** საქართველო-გერმანია;
**4 მარტი:** ესპანეთი-საქართველო; რუსეთი-რუმინეთი; გერმანია-ბელგია;
**11 მარტი:** გერმანია-ესპანეთი; ბელგია-რუმინეთი;
**12 მარტი:** საქართველო-რუსეთი;
**18 მარტი:** ესპანეთი-ბელგია; რუსეთი-გერმანია; რუმინეთი-საქართველო.

# შედეგები

**7 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რეალი-გრანადა ... 5:0
ეიბარი-ატლეტიკო ... 0:2
ლას პალმასი-ხიხონი ... 1:0
სოსიედადი-სევილია ... 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 16 | 12 | 4 | 0 | 45-14 | 40 |
| 2.სევილია | 17 | 11 | 3 | 3 | 36-21 | 36 |
| 3.ბარსელონა | 16 | 10 | 4 | 2 | 41-16 | 34 |
| 4.ატლეტიკო | 17 | 9 | 4 | 4 | 31-14 | 31 |
| 5.ვილიარეალი | 16 | 8 | 5 | 3 | 25-11 | 29 |
| 6.სოსიედადი | 17 | 9 | 2 | 6 | 28-25 | 29 |
| 7.ბილბაო | 16 | 8 | 2 | 6 | 22-19 | 26 |
| 8.ლას პალმასი | 17 | 6 | 6 | 5 | 27-24 | 24 |
| 9.ეიბარი | 17 | 6 | 5 | 6 | 22-22 | 23 |
| 10.ესპანიოლი | 17 | 5 | 8 | 4 | 21-23 | 23 |
| 11.მალაგა | 16 | 5 | 6 | 5 | 25-26 | 21 |
| 12.ალავესი | 16 | 5 | 6 | 5 | 15-17 | 21 |
| 13.სელტა | 16 | 6 | 3 | 7 | 25-31 | 21 |
| 14.ბეტისი | 16 | 5 | 3 | 8 | 18-29 | 18 |
| 15.დეპორტივო | 17 | 4 | 5 | 8 | 23-28 | 17 |
| 16.ლეგანესი | 16 | 4 | 4 | 8 | 13-27 | 16 |
| 17.ვალენსია | 15 | 3 | 3 | 9 | 21-29 | 12 |
| 18.ხიხონი | 17 | 3 | 3 | 11 | 17-34 | 12 |
| 19.გრანადა | 17 | 1 | 6 | 10 | 14-38 | 9 |
| 20.ოსასუნა | 16 | 1 | 4 | 11 | 13-34 | 7 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლევანტე-ლუგო ... 1:0
კორდობა-რაიო ... 0:0

**იტალია. სერია ა**

ემპოლი-პალერმო ... 1:0
ნაპოლი-სამპდორია ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 17 | 14 | 0 | 3 | 36-14 | 42 |
| 2.რომა | 18 | 12 | 2 | 4 | 39-18 | 38 |
| 3.ნაპოლი | 19 | 11 | 5 | 3 | 42-22 | 38 |
| 4.ლაციო | 18 | 10 | 4 | 4 | 32-21 | 34 |
| 5.მილანი | 17 | 10 | 3 | 4 | 27-20 | 33 |
| 6.ატალანტა | 18 | 10 | 2 | 6 | 27-21 | 32 |
| 7.ინტერი | 18 | 9 | 3 | 6 | 28-21 | 30 |
| 8.ტორინო | 18 | 8 | 4 | 6 | 36-27 | 28 |
| 9.ფიორენტინა | 18 | 7 | 6 | 5 | 28-24 | 27 |
| 10.უდინეზე | 18 | 7 | 4 | 7 | 24-24 | 25 |
| 11.კიევო | 18 | 7 | 4 | 7 | 19-20 | 25 |
| 12.ჯენოა | 18 | 6 | 5 | 7 | 21-22 | 23 |
| 13.კალიარი | 18 | 7 | 2 | 9 | 27-42 | 23 |
| 14.სამპდორია | 19 | 6 | 5 | 8 | 22-26 | 23 |
| 15.ბოლონია | 17 | 5 | 5 | 7 | 17-22 | 20 |
| 16.სასუოლო | 18 | 5 | 2 | 11 | 24-33 | 17 |
| 17.ემპოლი | 19 | 4 | 5 | 10 | 11-26 | 17 |
| 18.პალერმო | 19 | 2 | 4 | 13 | 16-36 | 10 |
| 19.კროტონე | 17 | 2 | 3 | 12 | 14-32 | 9 |
| 20.პესკარა | 18 | 1 | 6 | 11 | 14-33 | 9 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ნასიონალი-ბრაგა ... 0:0
ეშტორილი-მარიტიმუ ... 0:1
გიმარაეში-ბენფიკა ... 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-ლევადიაკოსი ... 2:0
ასტერასი-აეკი ... 3:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ხავი მარტინესი: „თუ ტიტულის აღება გსურს, ნებისმიერი გუნდის დამარცხება უნდა შეგეძლოს“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

***– ზამთრის შესვენებამ გუნდზე როგორ იმოქმედა?***

– ჩვენ სასარგებლოდ. ფეხბურთს მოვწყდით და ენერგია აღვიდგინეთ. ახლა კვლავ სრული დატვირთვით ვმუშაობთ და გვსურს მეორე წრეს კარგად მომზადებულები შევხვდეთ.

***– თქვენს საყვარელ პოზიციაზე დიდი კონკურენციაა.***

– ჩემთვის სულ ერთია, რომელ პოზიციაზე ვითამაშებ. მსურს ჩემს გუნდს დავეხმარო, ესაა ჩემი მიზანი. ჩემთვის მნიშვნელოვანი არაა ვთამაშობ მე ცენტრალური მცველის პოზიციაზე, საყრდენ ზონაში თუ ფლანგზე. გუნდი პირველ ადგილზე დგას.

***– გუნდში ყველაზე ახლო მეგობარი ვინ გყავთ?***

– ყველასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს, ჩვენ როგორც ერთი ოჯახი ვართ. ყველანი ვმეგობრობთ ერთმანეთთან. რა თქმა უნდა უფრო დიდ დროს ვატარებ ესპანელებთან და ლათინოამერიკელებთან, განსაკუთრებით, ხუან ბერნატთან ერთად.

***– მიუნხენზე რას იტყვით?***

– შესანიშნავი ქალაქია. შეყვარებული ვარ მასზე! ყოველთვის შეგიძლია, რაღაც სასიამოვნო მონახო ამ ქალაქში, განსაკუთრებით ზამთარში, ზაფხულში ან ოქტობერფესტის დროს. ეს იდეალური ქალაქია ფეხბურთელისათვის. პირველ სეზონში ამინდთან შეგუება მომიხდა, ბოლო 3 წელი კი უფრო მეტად მომზადებული შევხვდი მას.

***– რა რჩევას მისცემდით ახალგაზრდა ტალანტებს?***

– არ ვიცი, კარგი მრჩეველი ვარ თუ არა, მაგრამ მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია – სიამოვნება მიიღეთ მუშაობისგან! ფეხბურთი სიამოვნებით უნდა ითამაშო. ამის გარდა: თითოეული დღე მუხლჩაუხრელად უნდა იშრომო. ეს წარმატების გასაღებია.

***– თქვენს მომავალ მიზნებზე რას გვეტყვით?***

– თუ ბავარიაში თამაშობ, მაშინ ყოველთვის მაღალი მიზნები უნდა დაისახო. წინა წელს დიდი იმედგაცრუება გამოვიარეთ – ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვერ მოვხვდით. მაგრამ ამ წელს კვლავ გვაქვს ამის შანსი. კვლავ გვსურს, რომ ადამიანები ბედნიერები გავხადოთ. კარგ ფორმაში ვიმყოფებით და ბევრს ვმუშაობთ. თუმცა, ეს ადვილი არ იქნება – არსენალი ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგეა. მაგრამ თუ ტიტულის აღება გსურს, ნებისმიერი გუნდის დამარცხება უნდა შეგეძლოს.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ მოვიქცეთ ინტოქსიკაციის დროს

ეკა ირემაშვილი

სადღესასწაულო სუფრა ყოველთვის მრავალფეროვანია, განსაკუთრებით ჩვენი ეროვნული კერძები, რომლებიც ძალიან გემრიელი და, ამასთანავე, ნოყიერია. ზოგიერთი პროდუქტი ორგანიზმისთვის რთულად გადასამუშავებელია. იმისთვის, რომ დღესასწაულზე ალკოჰოლის ჭარბი დოზის და ზედმეტად ცხიმიანი ან ცხარე კერძებისგან გამოწვეულმა დისკომფორტმა ხასიათი არ გაგიფუჭოთ ან თქვენს ჯანმრთელობას პრობლემები არ შეუქმნას, აუცილებელია ექიმების რჩევების გათვალისწინება.

როგორ მოვიქცეთ ალკოჰოლით ინტოქსიკაციის დროს, რამდენად რეკომენდებულია ალკოჰოლზე გაზიანი ან ტკბილი სასმელის დაყოლება, როგორ ვებრძოლოთ ნაბახუსევს ან რომელ კერძებს მივანიჭოთ უპირატესობა სადღესასწაულო სუფრაზე, ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ექიმი-ტოქსიკოლოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი ეკა ქურდაძე საუბრობს.

**ეკა ქურდაძე:**

— სადღესასწაულო სუფრა საკმაოდ მრავალფეროვანია და საკმაოდ ნოყიერიც. ზედმეტად ცხიმიანი საკვები და კრემიანი ნამცხვრები ამ მხრივ ყველაზე სახიფათოა, ასევე — ყველასთვის საყვარელი მაიონეზის სალათები და ტკბილი გაზიანი სასმელები. უნდა ეცადოთ, მაქსიმალურად შეზღუდოთ ცხიმის მიღება. ვინაიდან სადღესასწაულო სუფრის მუდმივ და შეუცვლელ კერძად შემწვარი ქათამი და მწვადი ითვლება, სასურველია, შემწვარი ქათამი კანის გარეშე მიირთვათ, ხოლო მწვადი შამფურზე ან გრილზე შემწვარი თუ არ იქნება, საკუთარ ცხიმში შეიწვას. უპირატესობა მიანიჭეთ სამარხვო მაიონეზს ან არაჟნით ჩაანაცვლეთ. ტკბილი გაზიანი სასმელების ნაცვლად დალიეთ ხილის წვენი (ახლადგამოწურული), ახლად მომზადებული კომპოტი ან მინერალური წყალი.

***— რომელ კერძებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა სადღესასწაულო სუფრაზე?***

— თუ ადამიანს კუჭ-ნაწლავის პრობლემები არ აწუხებს, მცირე ულუფებად შეუძლია ყველაფერი მიირთვას. ვისაც გასტრიტი, წყლულოვანი დაავადება, ქოლეცისტიტი, ყაბზობა და სხვა მსგავსი პრობლემები აქვს, ბუნებრივია, უნდა მოერიდოს როგორც მრავალფეროვანი საკვების მიღებას, ასევე რაოდენობაც მაქსიმალურად უნდა შეზღუდოს. სადღესასწაულო სუფრა თუ მაინც საცდურად იქცა, გართულების შემთხვევაში სასურველია, ექიმს მიმართონ, რათა დროულად მოგვარდეს პრობლემა და გართულებები თავიდან იქნეს აცილებული.

***— როგორ უნდა მოვიქცეთ ალკოჰოლით ინტოქსიკაციის დროს?***

— როცა საქმე ალკოჰოლს ეხება, ამ დროს ზომიერების დაცვაა საჭირო. ალკოჰოლით ინტოქსიკაციის დროს ვეცადოთ, ადამიანი შევაფხიზლოთ, სუფთა ჰაერზე გავიყვანოთ. თუ გონზეა, სასურველია მექანიკურად ღებინების გამოწვევა. დავალევინოთ მაგარი ყავა, ჩაი ან მინერალური წყალი. დაძინებისას უსაფრთხო პოზაში დავაწვინოთ, ანუ გვერდულად.

***— რეკომენდებულია თუ არა ალკოჰოლზე გაზიანი ან ტკბილი სასმელის დაყოლება?***

— ალკოჰოლურ სასმელზე გაზიანი, ტკბილი სასმელის დაყოლება არ არის რეკომენდებული. გირჩევთ, ალკოჰოლს მიაყოლოთ წყალი, მინერალური სასმელი და ახლადმომზადებული ტკბილი კომპოტი.

***— ნიგვზისგან მომზადებული საკვები ერთ-ერთი მთავარი საკვებია სადღესასწაულო სუფრაზე. ვინც ალერგიულია, გოზინაყის ან საცივის მირთმევის შემდეგ გამონაყარი უჩნდება. როგორ დავაცხროთ ალერგიული ფონი?***

— ყველა ადამიანმა და განსაკუთრებით მათ, ვისთვისაც ალერგიული გამოვლინებები არცთუ ისე იშვიათი პრობლემაა, ორგანიზმი სათანადოდ უნდა მოამზადოს და დაიცვას ე.წ. განტვირთვის დღეები, დალიოს დიდი რაოდენობით წყალი და გაზგასული მინერალური სასმელი, მიიღოს დღის განმავლობაში დაახლოებით 2 ლიტრამდე სითხე და მცირე ულუფებად მხოლოდ მოხარშული საკვები. ალერგიული რეაქციის გამოვლენის შემთხვევაში კი აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს!

***— ვიდრე სუფრას მივუსხდებით, ხომ არ არის რეკომენდებული რომელიმე წამლის მიღება?***

— თუ ორგანიზმი ჯანმრთელია და ზომიერების დაცვაც არ წარმოადგენს პრობლემას, შესაძლებელია, წამლის გარეშეც ადვილად გადაიტანოს ადამიანმა სადღესასწაულო პერიოდი. ვისაც პრობლემები აქვს, შეუძლია ფერმენტის მიღება, რათა თავიდან აიცილოს საახალწლო სუფრით გამოწვეული დისკომფორტი. ბევრი ადამიანი თვითნებურად ირჩევს გასტრო და ჰეპატოპროტექტორებს, ე.წ. კუჭისა და ღვიძლის დამცავ მედიკამენტებს, რაც არასწორია. აუცილებელია, თითოეული მედიკამენტი ექიმმა ინდივიდუალურად შეარჩიოს.

***— მოლხენის შემდეგ იწყება ბრძოლა ნაბახუსევთან. არსებობს რაიმე რეცეპტი, რომელიც ამ დროს ყველაზე პრაქტიკულია?***

— ნაბახუსევზე შეგიძლიათ დალიოთ გაზგასული მინერალური წყალი, მიირთვათ მაწონი, კეფირი, მჟავე ან ახლადმოხარშული ტკბილი კომპოტი. თუ გაუსაძლისი თავის ტკივილი გაწუხებთ, წყალში ხსნადი ასპირინისა და რომელიმე სპაზმოლიზური საშუალების გამოყენებაც დაგეხმარებათ. სასარგებლოა ხილიც, განსაკუთრებით ციტრუსი, ანანასი.

***— სადღესასწაულო დღეების პერიოდში პაციენტები ყველაზე ხშირად რა პრობლემებით გაწუხებენ?***

— პრობლემები ძირითადად კვებითი ინტოქსიკაციებია, მათ შორის სოკოთი მოწამვლა, ალკოჰოლური ინტოქსიკაცია კი — ძირითადად მრავალფეროვანი, სხვადასხვა სახის ალკოჰოლური სასმელის ჭარბად გამოყენების შემთხვევაში.

***— პაციენტებში ქალები უფრო მეტია თუ მამაკაცები?***

— რაც შეეხება სქესს, თითქმის თანაბრად ხვდებიან კლინიკაში, თუმცა უპირატესობით მაინც მამაკაცები გამოირჩევიან.



ეკა ქურდაძე

## კალეიდოსკოპი

## ბოლივუდის ვეტერანი გულის შეტევით გარდაიცვალა

ინდოელი მსახიობი ომ პური 66 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა გახდა.



ბოლივუდის ვარსკვლავი გარდაცვლილი მუმბაიში საკუთარ სახლში იპოვეს. მთელმა რიგმა ინდოელმა პოლიტიკოსმა, მათ შორის ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ნარენდა მოდიმ მწუხარება გამოთქვეს მსახიობის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ომ პურის ინდურ კინოში 1975 წლიდან იღებდნენ. მისი მონაწილეობით ყველაზე ცნობილ ფილმებს შორისაა „დისკოს მოცეკვავე", „ტკბილეული და ვნებები". მსახიობი დაჯილდოებული იყო ეროვნული პრემიით „ვერცხლის ლოტოსი", პრემიით ბაფტა. პურის ასევე მინიჭებული ჰქონდა ბრიტანეთის იმპერიის ორდენის ოფიცრის წოდება, ასევე ინდოეთის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოს პადმა შრის კავალერი იყო.

## ბელგიელებმა 17-წლიანი „ძეხვის ომი" მოიგეს

ბელგიის ვალონიის რეგიონის შებოლილი ძეხვის მწარმოებლებმა ფლანდრიელი კონკურენტები დაამარცხეს კამათში, რომელიც მათი პროდუქციის სტატუსისთვის მიმდინარეობდა.

ევროკომისია უახლოეს ხანებში გამოაცხადებს ვალონიური კომპანიის უფლებაზე, საკუთარ წარმოებულ ძეხვს უწოდოს „არდენული". ამ პროდუქტს მინიჭებული ექნება გეოგრაფიულად დაცული სახელწოდების სტატუსი.



ზემოხსენებული ძეხვეული მზადდება არდენში — მთაგორიან ოლქში, რომელიც ბელგიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მას არაერთხელ აქვს მიღებული ოქროს მედალი აგროსამრეწველო გამოფენებზე.

როდესაც მოცემული პროდუქციის მწარმოებლებმა განცხადება შეიტანეს მისთვის დაცული სახელწოდების მინიჭებასთან დაკავშირებით, ამან მათი კონკურენტების — ფლანდრიის მსხვილი კომპანიების უკმაყოფილება გამოიწვია. ამ ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, არდენული ძეხვის დამზადება სხვა რეგიონებშიც არის შესაძლებელი.

თუმცა ვალონიელმა ბიზნესმენებმა მოახერხეს დაემტკიცებინათ, რომ მხოლოდ ისინი ფლობენ თავიანთი პროდუქციის შებოლვის ორიგინალურ რეცეპტს. ეს კამათი 17 წელი გრძელდებოდა.

## მეიბელინის კოსმეტიკის სახე მამაკაცი გახდა

ამერიკელი მენი გუტიერესი კოსმეტიკური კომპანია მეიბელინის სახე გახდა.



ბიუთი-ბლოგერი პირველი მამაკაცია, რომელიც კომპანიის ისტორიაში მისი სარეკლამო სახე გახდა. ის წამწამებისთვის განკუთვნილ საცხს გაუკეთებს რეკლამას.

გუტიერესმა იუთუბიზე ვიდეობლოგი 2014 წელს შექმნა. მის არხს ორ მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. ის წერს სასწავლო ვიდეოებს მაკიაჟზე. მენი იბრძვის იმისთვის, რომ მამაკაცებმა კოსმეტიკით სარგებლობის უფლება მოიპოვონ და არ მალავს, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისაა, ანუ გეია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 9 იანვრისათვის



**ვერძი** — ფინანსური მდგომარეობა ნელა, მაგრამ საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. საქმიან პარტნიორებთან მოსალაპარაკებლად საუკეთესო დღეა. **კურო** — შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. იზრდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი. **ტყუპები** — ოჯახში ჰარმონია და სიყვარული მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას იოლად შეძლებთ. **კირჩხიბი** — ახალი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. შესაძლოა, შემოსავალი გაგეზარდოთ. **ლომი** — გლობალურ პრობლემებს ნუ შეეჭიდებით. სასიცოცხლო პოტენციალი დაბალ დონეზეა. არც სამსახურის შეცვლას გირჩევთ. **ქალწული** — ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. ფინანსებს არ ემდურით. კარგი დღეა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად. **სასწორი** — შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მაღალია. საღამოს ნათესავებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. **ღრიანკალი** — საქმიანი გარიგებები, საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. დაუფიქრებლად ნუ იმოქმედებთ. **მშვილდოსანი** — იუპიტერის მფარველობა თქვენს მატერიალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. შემოქმედებით სფეროში წარმატება გელით. **თხის რქა** — საკმაოდ რთული დღეა. ემოციები შეიკავეთ. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე და გონიერება შეინარჩუნეთ. **მერწყული** — ინტუიცია სუსტდება. ერიდეთ წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმას. **თევზები** — გაუცხოებული ხართ. თავს ზედმეტად გრძნობთ. ნუ აჩქარდებით. ეს განსაკუთრებით სამსახურის შეცვლას ეხება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## სკანვორდი



1. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 2. ღრმა, ვიწრო ხეობა; 3. დამუხტული ატომი ან ატომთა ჯგუფი; 4. სახოტბო ლექსი; 5. ტაბლეტი; 6. ბატონო (ინგლისურად); 7. რისამე დამსახურების ნიშნად გაცემული საბუთი; 8. ხელოვნების მუზეუმი პარიზში; 9. ფულის მისაღები თამასუქი; 10. ცოლ-ქმარში ერთ-ერთის შვილი მეორის მიმართ; 11. თოვლის ჯიქი; 12. მეფის ტიტული მონღოლეთში (ძვ.); 13. ნოტი; 14. მექსიკელთა ღვთაება, რომელსაც ადამიანს სწირავდნენ; 15. ერთგვარი მაწონი; 16. გერმანული ავტომობილი; 17. ურჩხული; 18. ჩაზელილი, შეზავებული კარტოფილი; 19. კედლისა და იატაკის გამყოფი თამასა; 20. გნოლის ბარტყი; 21. მხარე, მიდამო; 22. ღვთაებრივი ხარი ძველ ეგვიპტეში; 23. ერთ-ერთი წვრილი ხმა სიმღერაში; 24. დედალი ფუტკრის საჩხვლეტი ორგანო; 25. უგონო მდგომარეობა; 26. თხევადი ნივთიერება; 27. მიზანში ზუსტად მსროლელი; 28. სახელმწიფო ევროპაში; 29. ნული; 30. დიდი, ძვირფასმერქნიანი ხე; 31. თავადზე დაბლა მდგომი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯარა; 2. ტორფი; 3. ოპიუმი; 5. პოლკა; 6. ჩურჩხელა; 8. გოლფსტრიმი; 10. ესკადრა; 12. სურჩინა; 14. უტზონი; 15. რაპიდი; 16. სტელა.

**თარაზულად:** 1. ჯალიტა; 4. აპალაჩი; 7. ყურანი; 9. მირაჟი; 11. გლობუსი; 12. საინგილო; 13. ტაპირი; 17. რატუშა; 18. ციხე; 19. სნოუბორდი; 20. ვილაიეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კაბერნე; 2. ტალეირანი; 3. სინდრომი; 4. სკუტერი; 5. სოკარი; 9. ლაისტი; 11. დროზერა; 12. ლეკები; 14. ბალდათი; 18. არესი; 19. გუამი.

**თარაზულად:** 1. სირაჯი; 5. სელადონი; 6. ჯილდა; 7. პუდრეტი; 8. პეპელა; 10. მდადი; 13. ნაბადი; 15. რუზინე; 16. მიზა; 17. რიწა; 20. დურუჯი; 21. დიქცია; 22. მესხეთი; 23. მთვარე.

# ალმოჩენა ივრის ნაპირზე



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფმა აქამდე უცნობი არქეოლოგიური ობიექტი დააფიქსირა, რომელიც კახეთში, ივრის ნაპირზე, კოწახურას ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. სავარაუდოდ, ობიექტი ანტიკური ხანის ნაქალაქარს წარმოადგენს, რომელთანაც ბრინჯაოს ხანის ყორღანი მდებარეობს და რომლის მასშტაბიც აქამდე შესწავლილ ყორღანებს აღემატება.

ობიექტი, ამჟამინდელი მდგომარეობით, გავრცელებულია 2,5 ჰექტარზე, თუმცა არქეოლოგიური შესწავლის შემდეგ არ არის გამორიცხული მისი ფართობის ცვლილება. დანგრეულია მიწისპირზე და ამჟამად მხოლოდ კონტურები იკითხება. ესაა ალიზის ნაგებობებით დაგეგმარებული კომპლექსი.

ალიზის კედლების სისქე 1-1.2 მეტრს შორის მერყეობს. ნაგებობათაგან ნაწილი წრიულია, ნაწილი კი – მართკუთხა. ალიზის კედლებს ეტყობათ ძლიერი ხანძრის კვალი. ზედაპირული დაზვერვით დაფიქსირებულ მასალას თიხის ბათქაშები, წითელი საღებავით მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები და სალესი ქვები შეადგენს.

აღმოსავლეთით, მის მომიჯნავედ, 115 მეტრი დიამეტრისა და დაახლოებით 20 მეტრი სიმაღლის ყორღანია.

კომპლექსის კვლევის დაწყება წელს იგეგმება, რომელშიც საერთაშორისო წამყვანი არქეოლოგიური ინსტიტუციები იქნებიან ჩართული.

# „ბრავო რუსთაველის თეატრს! მსახიობებს ხელფასი არ დააკლეს!“



მსახიობი ქეთევან კიკნაძე საქართველოს თეატრებში შექმნილ ვითარებას აფასებს და ოპტიმიზაციის პროცესს რუსთაველის თეატრის ქებით ეხმაურება.

**ქეთევან კიკნაძე:**

– ბრავო რუსთაველის თეატრს! ყოჩაღ, რობიკო, მსახიობებს ხელფასი არ დააკლეს. ის მსახიობები, რომლებიც ვეღარ თამაშობენ, დაავადებულია ზოგი, ისინიც კი შეინახა. შენი გვარი და სახელი ოქროს ასოებით შევა ქართული თეატრის ისტორიაში და არა მარტო მაგისათვის. შენი შემოქმედებით.

ამ ამბებთან დაკავშირებით, ერთი ამბავი მახსენდება. სესილია თაყაიშვილმა ერთხელ დარეკა, გიგა არ იყო სახლში, ტელეფონზე მე შევხვდი:

„ქეთინო! გიგა რომ მოვა, გადაეცი, მე არაფერს არ ვთამაშობ, ამიტომ გამათავისუფლოს თეატრიდან, ჩემი ხელფასი კი გადაანაწილოს ახალგაზრდებზე, რომლებიც გაჭირვებულები არიან“.

ძალიან დავიბენი, რა თქმა უნდა, გადავეცი. მაშინ გიგამ აიღო მილი და დაურეკა: „ქალბატონო სესილია! თქვენ მარტო იმაში გეკუთვნით ხელფასი, თეატრში ხანდახან გამოჩნდეთ და გაიარ-გამოიაროთ“.

ეს იყო კაცური და სამაგალითო პასუხი. დიდ შემოქმედს დიდსულოვნება მოეთხოვება.

# ანაიდა ბოსტანჯიანი გარდაიცვალა



ქართველი მწერლებისა და პოეტების სომხურ ენაზე მთარგმნელი თბილისელი პოეტი ანაიდა ბოსტანჯიანი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ანაიდა ბოსტანჯიანმა ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, თამაზ ჭილაძის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ რობაქიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, რევაზ მიშველაძის, ხუტა ბერულავას, ნოდარ დუმბაძის, ანა კალანდაძის, არჩილ სულაკაურის, გრიგოლ აბაშიძის, გურამ ოდიშარიასა და სხვა ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები სომხურ ენაზე თარგმნა.

მან გამოსცა 43 წიგნი და აქედან 27 თარგმანი იყო. არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი შემოქმედი თითქმის ნახევარი საუკუნე თარგმანს ემსახურებოდა. მის მიერ სომხურ ენაზე თარგმნილი ოთარ ჭილაძის რომანი „გოდორი“ ერევანში ბესტსელერთა სიაში მოხვდა.

ბოლო 3 წლის განმავლობაში ანაიდა ბოსტანჯიანის თარგმანით სომხურ ენაზე 7 წიგნი გამოიცა.

# სამგლოვიარო განცხადებები



დედა ლილი რევიშვილი, მეუღლე ქეთევან რობაქიძე, შვილები ნოდარი და ლევანი, და მარინა არდიშვილი, ძმა მამუკა არდიშვილი, რძალი ლანა ალხაზიშვილი, შვილიშვილები ზაზა და მარიამი, ოჯახის ახლობლები და ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზაზა ნოდარის ძე არდიშვილი**

პანაშვიდი: 8, 9 იანვარს, 16 საათიდან;

მისამართი: ვაჟა-ფშაველას მე-5 კვარტალი, მე-4 კორპუსი, მე-3 სადარბაზო.

გამოსვენება: 10 იანვარს, 14 საათზე, ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაო).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ალილო მთელ საქართველოში ჩატარდა



7 იანვარს, შობის დღესასწაულზე, მთელ საქართველოში ალილოს მსვლელობა გაიმართა. მეალილოეებმა საქართველოს ყველა რეგიონში შეაგროვეს ტკბილეული და საჩუქრები მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა და პანსიონატებში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის.

ალილოს ტრადიცია 2001 წლიდან მისი უწმინდესობის ინიციატივით აღინიშნება.

თბილისში საშობაო ალილო „ვარდების მოედნიდან“ დაიწყო. სასულიერო პირებმა საკმევლის კმევითა და ნაკურთხი წყლის პკურებით მოგვებთან, მწყემსებთან და მახარობლებთან ერთად საშობაო მუსიკისა და გალობის ფონზე გაიარეს რუსთაველის გამზირი, თავისუფლების მოედანი, ბარათაშვილის ხიდი და ბოლოს სამების ტაძართან მივიდნენ.

მსვლელობის მონაწილეებს წინ მიუძღოდათ შობის ხატი.

მეალილოეებს ქვაშვეთის ტაძარი ზარების რეკვით მიეგება. მსვლელობას წელსაც თეატრალური სახე ჰქონდა. პროცესიას წინ თეთრ სტიქარში გამოწყობილი პატარები მიუძღოდნენ. მათ მიჰყვებოდნენ მწყემსები და სასულიერო პირები. სპილოები, ჟირაფები, აქლემები და კუები თავიანთი ტახტრევნებით მეალილოეების მეგზურები იყვნენ. ურემში შებმული ხარ-კამეჩი სპეციალურად ჩამოიყვანეს კასპიდან.

მეალილოეებმა მსვლელობის განმავლობაში მოსახლეობის მიერ შეწირული ტკბილეული შეაგროვეს. მთელი მსვლელობის განმავლობაში ალილოს დღესასწაულს უერთდებოდნენ რიგითი გამვლელები, რუსთაველის გამზირზე მდებარე მაღაზიებისა და ოფისების თანამშრომლები. სტიქარებში გამოწყობილი მახარობლები ყველას მისი უწმინდესობის საშობაო მისალოც ბარათებს ურიგებდნენ, თბილისის ცენტრალური გამზირის მოსახლეობა კი აივნებიდან და ფანჯრებიდან ადევნებდა თვალს ალილოს სადღესასწაულო მსვლელობას.

მეალილოეები მსვლელობის განმავლობაში რამდენიმე ადგილას შეჩერდნენ, მათ შორის, პარლამენტის შენობასთან, თბილისის საკრებულოსთან, საპატრიარქოსთან და პრეზიდენტის სასახლესთან. მსვლელობა სამებასთან დასრულდა.

ალილოზე შეგროვილი ნობათი სამებაში დაბინავდა. ის დახარისხდება და ბავშვთა სახლებზე, მოხუცთა თავშესაფრებსა და გაჭირვებულ მოსახლეობაზე გადანაწილდება.

# ზუკა ხუციშვილი დაქორწინდა



მომღერალი ზუკა ხუციშვილი დაქორწინდა.

ბავშვობიდან პოპულარულმა მომღერალმა ბოლო პერიოდში შოუბიზნესში დარჩენაზე უარი განაცხადა და პროფესიად უფრო სერიოზული სფერო აირჩია – ზუკა ამჟამად ამჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს.

მიუხედავად იმისა, რომ ფილმებშიც მიიღო მონაწილეობა, ლეგენდარულ „სახესთან“ ერთადაც იმღერა, მამასთან, გიო ხუციშვილთანაც ჩაწერა დუეტები, მიაჩნია, რომ საქართველოში სიმღერა მისთვის მხოლოდ ჰობის დონეზე უნდა დარჩენილიყო.

ახალ წელს ზუკა თავის საყვარელ ადამიანთან ერთად შეხვდა. ზუკამ დაქორწინების გადაწყვეტილება მიიღო და ის სისრულეში მოიყვანა. მისი რჩეული ქეთუშა მანიჟაშვილია. წყვილმა ინტერნეტში ერთობლივი ფოტოები მრავლად დადო და მეგობრებისა და ახლობლებისგან დალოცვა, მოწონება და საუკეთესო სურვილები მიიღო.

# კოსტავას ქუჩაზე „ბიბლუსის“ მაღაზია გაქურდეს




მერაბ კოსტავას ქუჩაზე წიგნის მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსის“ ფილიალი გაქურდეს.

მაღაზიის თანამშრომლების თქმით, დილით სამსახურში მისულებს მაღაზიის კარი ღია დახვდათ. „ბიბლუსის“ ფილიალიდან წაღებულია თანხა, მაგრამ თანხის ზუსტი ოდენობა უცნობია.

მომხდართან დაკავშირებით ადგილზე გამოცხადდნენ სამართალდამცველები და სამძებრო ღონისძიებები დაიწყეს.

# „ქუჩის ბიჭებმა“ სამტრედიელებს უმღერეს



ჯგუფმა „ქუჩის ბიჭებმა“ თავიანთ კოლეგებთან ერთად სამტრედიელებს საშობაო კონცერტი აჩუქეს.

სოფო ბედიამ, ბესო ბერულაშვილმა, „გუფი ლენდმა“, ქსოვრელებმა, დათუნა სირბილაძემ ლიაცის ქვეშ შეკრებილებისთვის საუკეთესო მუსიკალური და იუმორისტული ნომრები შეასრულეს. კონცერტის წამყვანები იუმორისტები ფაქო და ამიკო იყვნენ. საშობაო კონცერტი დავით მაჩაიძემ დაასრულა.

სამტრედიაში საშობაო კონცერტი ყოველწლიური ტრადიციაა, რომელიც ალილოს შემდეგ სადღესასწაულო განწყობის ლოგიკური დასასრულია. კონცერტზე დამსწრე რიგით სამტრედიელებს მინისტრი კახი კალაძეც შეუერთდა და კვინიკაძეების მრავალშვილიან ოჯახს სახლი აჩუქა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

# გერმანულ კუნძულზე ათასობით კვერცხი გამოირიყა

ათასობით პლასტმასის კვერცხი, რომლებშიც სათამაშოები ეწყო, გამოირიყა ჩრდილოეთის ზღვაში მდებარე გერმანული კუნძულის ლანგეოგის სანაპიროზე.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქარიშხლის გამო გარკვეული დროის წინ ხუთი კონტეინერი, რომელიც სათამაშოებით იყო დატვირთული, წყალში აღმოჩნდა. ქარიშხალში აღმოჩნდა დანიის დროშის ქვეშ მცურავი ხომალდი, რომელიც ჩინეთიდან გერმანიაში, ბრემერხაფენში მიცურავდა.

აღსანიშნავია, რომ ქარიშხალმა ზოგიერთ რეგიონში, მათ შორის ჰამბურგშიც წყალდიდობა გამოიწვია.

ნაპირზე გამორიყული სათამაშოების დაუყოვნებლივ შეგროვებას შეუდგნენ ადგილობრივები და ტურისტები. ბევრი მათგანი სანაპიროზე დიდი ჩანთებით მივიდა. სათამაშოების შეგროვებაში ერთ-ერთი ადგილობრივი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც კი ჩართეს.

ადგილობრივი დასახლების მერ უვე გარელისის თქმით, თავისი მასშტაბიდან გამომდინარე, სიტუაცია „თავშესაქცევი სულაც აღარ არის“, ვინაიდან გარემოსა და ადგილობრივი ფაუნისთვის სახიფათო გახდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პროგრამა

**ორშაბათი 9 იანვარი**

**07.00** დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყური**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** დოკ/ფ "უჩვეულო ნაძვის ხეები" **15.00, 01.00** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00, 02.00** "რეალური სივრცე" **20.30** ქართ. მხ/ფ "**რეკორდი**" **21.30** ფიფას ეგიდით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონიალი (პ/ციურიხიდან) **23.00** მხ/ფ "**შეყვარებული შექსპირი**" (ჯ.ფაინსი) **03.00** "პირადი ექიმი"

**08.00** დ/ფ "მონდრიანის სახელოსნოში" **09.00** დ/ფ "ღვინო და მეცნიერება" **10.00** მხ/ფ "**ენი**" (საოჯახო) **11.30** დ/ფ "როდესაც მეფეები ვიყავით" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული სამყარო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**უკანასკნელი საზღვარი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**გონული**" **9** სერ. **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **6** სერ. **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.30** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-6**" **6-7** სერ. **00.30** მხ/ფ "**ყინულის მეფეები**" **02.15** მხ/ფ "**ელიზა გრეივსი: დაწყევლილი სავანე**" **03.45** მხ/ფ "**პრინცი და მე: სამეფო თაფლობის თვე**" **05.05** მხ/ფ "**პატარა ფოკერები**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** ნიჭიერი - პირდაპირი **00.00** "ბუბა კიკაბიძე" დამთავრებისას მხ/ფ კურიერის დაიჯესტი მხ/ფ

**08.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30** მხ/ფ "**გაქცევა**" **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** მხ/ფ "**კარგი ბიჭები**" **02.40** მხ/ფ "**შეთქმულების თეორია**" **05.10** მხ/ფ "**როგორ მოკლა მშიშარა ბობ ფორდმა ჯესი ჯეიმსი**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-"გარეჯში გაბრწყინებული მამები" **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.30** მხ/ფ "**რაც გინახავს ვეღარ ნახავ**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ნაძერწი ფიგურები" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** კონცერტი **16.55** სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**"III **17.25** დ/ფ "ხომლი, ფშავ-ხევსურეთი" II **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-ნეტარებათა განმარტება **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ბიბლია ბავშვებისათვის **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი-ეპისკოპოსთა დიდი ძალმოსილების შესახებ **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** საქართველოს სამართლის ისტორია **22.15** ქრისტიანული სწავლება **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **01.00** სათავეებთან "იაკობ გოგებაშვილი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **9.00** სერ. "**ქალბატონი**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 15.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შელევ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**უცხო**" **1.30** "კონტაქტი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**9 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7674

ევრო — 2.9334

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4274

100 რუსული რუბლი — 4.6779

## ამინდის პროგნოზი 9 იანვრისთვის





## 10 იანვრიდან

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები




**ვიქტორ ჰიუგო**

**პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## რომის პაპმა დაჯავშნილ პაპამობილზე უარი თქვა

რომის პაპმა ფრანცისკმა განაცხადა, რომ, თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით, არ აპირებს, საზღვარგარეთული ტურნეების დროს დაჯავშნილი ავტომობილით ისარგებლოს. ამის თაობაზე პონტიფიკმა იტალიელი ჟურნალისტისა და ვატიკანის საქმეების სპეციალისტის ანდრეა ტორნიელის წიგნ „მოგზაურობის" წინასიტყვაობაში ისაუბრა.



ღვთისმსახურმა განმარტა, რომ, გარკვეული საფრთხის შემცველი რისკის მიუხედავად, მას სურს, ხალხთან უფრო ახლოს იყოს.

– შესაძლოა, ეს უგუნურებაა, მაგრამ, უნდა აღვნიშნო, რომ საკუთარი თავის გამო საერთოდ არ ვნერვიულობ, მაგრამ, ამავე დროს, ყოველთვის ვნერვიულობ მათი უსაფრთხოების გამო, რომლებიც ჩემთან ერთად მოგზაურობენ და ასევე იმ ადამიანების გამო, რომლებსაც მე სხვადასხვა ქვეყანაში ვხვდები. მაგრამ ღმერთი ყოველთვის ჩვენთანაა, – აღნიშნა რომის პაპმა.

მან ასევე დაამატა, რომ კარგად ესმის უსაფრთხოების დაცვის განსაკუთრებული ზომების აუცილებლობის საჭიროებაც, მაგრამ:

– ეპისკოპოსი არის მწყემსი, მამა და მას და ხალხს შორის რაიმე წინაღობა არ უნდა არსებობდეს.

აღსანიშნავია, რომ იტალიის პოლიციამ სერიოზულად გააძლიერა უსაფრთხოების ზომები ვატიკანის რაიონში, რაც ევროპის ქვეყნებში ტერაქტების გახშირებას უკავშირდება. ამის მიუხედავად, რომის პაპი იტალიის დედაქალაქის ქუჩებში კვლავაც ფორდ ფოკუსით გადაადგილდება და დაჟინებით მოითხოვს, მისი დაცვა თვალში მოსახვედრად არ გამოიყურებოდეს.

## იუმორი



ერთი დაქალი მეორეს შესჩივლებს:

– აუტანელი მეუღლე მყავს, მხოლოდ საკუთარი დედა ახსოვს, სულ ამბობს: „აი, დედაჩემი ასე აკეთებს", „დედას ეს არ მოეწონებოდა"... მე მისთვის მეათეხარისხოვანი ვარ.

– გეტყვი, როგორ უნდა მოიქცე – მისი ყურადღება უნდა მიიქციო, როგორც ქალმა და დედა საერთოდ დაავიწყდება.

– როგორ უნდა მოვიქცე?

– საღამოს, სახლში რომ მოვა, ძალიან სექსუალურად გამოწყობილი დახვდი.

საღამოს სახლში დაბრუნებული ქმარი ხედავს, რომ ცოლი შავი ფერის სექსუალურ საცვლებშია გამოწყობილი, ფეხებზე შავი წინდები, ხოლო ხელებზე ხელთათმანები აცვია. ქმარმა შეხედა და ეკითხება:

– ღმერთო ჩემო, შავები რატომ გაცვია, დედაჩემს დაემართა რამე?

•••

გოგონები თოვლის კაცს აკეთებენ. თვალები და პირი გაუკეთეს. ამ დროს ერთი მეორეს ეუბნება, სახლში შევირბენ და დედას სტაფილოს გამოვართმევო.

– მეორეც გამოართვი, ცხვირისთვისაც დაგვჭირდება.

•••

გვიან ღამით ცოლი ქმარს აღვიძებს. ქმარი ეკითხება:

– რა მოხდა?

– არაფერი, უბრალოდ, არ მესმის, როგორ შეგიძლია, ასე მშვიდად ეძინოს შენისთანა დაბალი ხელფასის პატრონს...

•••

აეროპორტის საბაჟოს მოხელე რამდენჯერმე გადადებული რეისის ლოდინით გაწამებულ მგზავრს ეკითხება:

– იარაღი, ნარკოტიკები გაქვთ?

– რომ მქონოდა, დიდი ხნის გამოყენებული მექნებოდა.

•••

გაძარცვულ სომეხ მეზობელს მეორე მეზობელი ეკითხება:

– მართალია, რომ ბანდიტებს მთელი შენი ფული და ოქრო მიეცი?

– მართალია... უკან სარჩილავი შემირჭეს, მუცელზე უთო დამადეს და დენზე შეაერთეს!

– და მერე ადექი და მაშინვე მიეცი?

– აბა, რა მექნა, მეცადა, სანამ დენსაც დაწვავდნენ?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.**






## 12 იანვრიდან

# კულინარია ჰობად

ამ წიგნში მოცემულია როგორც კარგად ცნობილი, ასევე უცნობი რეცეპტები, რომელთა მომზადებასაც სახლის პირობებში თითოეული თქვენგანი ძალიან მარტივად შეძლებს.

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


## ხავი მარტინესი: „თუ ტიტულის აღება გსურს, ნებისმიერი გუნდის დამარცხება უნდა შეგეძლოს"



მიუნხენის ბაიერნის ნახევარმცველი ხავი მარტინესი გუნდთან ერთად ვარჯიშობს, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კი ესპანელი ფეხბურთელი სიამოვნებით საუბრობს.

***– როგორია თქვენი ფიზიკური კონდიციები სადღეისოდ?***

– შვებულებაში ყოფნისას გავცივდი. ახლა გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს. პირველად ვივარჯიშე ბიჭებთან ერთად. ძლიერ გადავიღალე, რადგან მედიკამენტების მიღებას ვაგრძელებ და ბოლო 3 დღის განმავლობაში საკმაოდ ცოტა ვივარჯიშე. მაგრამ მომდევნო დღეებში ნორმაში ჩავდგები და უკეთ ვიგრძნობ თავს.

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

## პრინსის უძრავი ქონება მისი მემკვიდრეების ბრძოლის ფონზე იყიდება



ამერიკელი მუსიკოსის პრინსის უძრავი ქონების ოთხი ობიექტი მისი ნათესავების მემკვიდრეობისთვის ბრძოლის ფონზე იყიდება. მუსიკოსის ქონება 300 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

გასაყიდი ობიექტები პრინსის ქალაქ შანჰასენის მახლობლად მდებარეობს. მათი საერთო ღირებულება დაახლოებით 1,34 მილიონ დოლარს შეადგენს. არსებული მონაცემებით, გარიგება ფინალურ სტადიაზეა. ეს არის სამი ცარიელი ნაკვეთი და სახლი ერთი საძინებლით. ამ მომენტისთვის პრინსის არც მთავარი სახლი პეისლი-პარკი და არც კუნძულებზე ტერკსა და კაიკოსზე მდებარე საცხოვრებლები არ იყიდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. მიკრობის სახეობა; 6. ტემპერატურის საზომი ერთეული; 8. მდინარის თევზი; 10. ასპარეზი; 11. ლექსის ნაწილი; 13. ასპილის დაფაზე საწერი ფიქლის ჩხირი; 16. ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ფეხსაცმელი; 18. ვერცხლისფერი ლითონი; 19. მახინჯი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 21. გოეთეს დრამა; 22. რთულყვავილოვანთა ოჯახის მცენარე; 23. მაღაზია.

**შვეულად:** 1. უეცარი ძლიერი ქარი; 2. ცურვის სტილი; 3. მაგარი კანფეტი; 4. მამლის ხმიანობა; 7. მწვერვალი სვანეთში; 9. რისამე გავრცელების არე; 12. საერთო-სახალხო კენჭისყრა; 14. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 15. ქართული ხალხური ოთხსიმიანი საკრავი; 17. დიდი გოჭი (სამი თვიდან ერთ წლამდე); 20. ფულად-საკრედიტო დაწესებულება.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

